7647

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სამშაბათი
30 სექტემბერი
1941 წ.
№ 231 (6236)
ფასი 15 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП(б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ჯგუფი წითელი არმიის მეთაურებისა, რომელთაც გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირების სახელწოდება. მარცხნიდან მარჯვნივ: ბატალიონის კომისარი კ. ნ. ოსიპოვი, მაიორი ა. ა. ლოჟეჩნიკოვი, პოლკოვნიკი ი. მ. ნეკრასოვი, უფროსი ლეიტენანტი ნ. მ. ჩეპურნოი და უფროსი ლეიტენანტი ს. ფ. მოშკოვსკი.

მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობავ, იბრძოლე ფაშიზმის წინააღმდეგ!

გუშინ მოსკოვში, კავშირთა სახლის სვეტებიანი დარბაზის ტრიბუნიდან, მთელს მსოფლიოში გაისმა ახალგაზრდობის მრისხანე და მამაცური სიტყვები საძულველი ფაშიზმის წინააღმდეგ, ჰიტლერელი ჯალათებისა და სადისტების წინააღმდეგ, საზიზღარ მკვლელთა წინააღმდეგ, რომელნიც მსოფლიო ბატონობისაკენ ისწრაფვიან, ცდილობენ დაიმონონ თავისუფლებისმოყვარული ხალხები, აუტანელი ტანჯვა, წამება განუმზადონ მათ, დაანგრიონ და მოსპონ ყოველივე, რაც კი რამ საუკეთესოა დედამიწაზე, რაც შექმნილია ადამიანის გონით.

ანტიფაშისტურ მიტინგზე შეკრებილმა საბჭოთა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა თავისი სიტყვებით გამოხატეს ურყევი გადაწყვეტილება იბრძოლონ გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ მის სრულ განადგურებამდე. ისინი, თავისი საქმის სიმართლისადმი, მტერზე მომავალი გამარჯვებისადმი ულრმესი რწმენით აღსავსენი, მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას მოუწოდებდნენ გაერთიანდეს იმისათვის, რომ იბრძოლოს ბავშვების მკვლელ, მოძალადე, ახალგაზრდობის მხრჩობელ ფაშისტთა წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც სიგიჟით შეპყრობილი და სასიკვდილოთ განწირული ანგრევს ქალაქებს, სწვავს სოფლებს, არაადამიანურად სტანჯავს ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს.

თავისუფალ მიწაზე დაბადებულმა და აღზრდილმა საბჭოთა ახალგაზრდობამ განიცადა მთელი სიკეთე მშვენიერი ცხოვრებისა, რომელიც მისმა მამებმა და პაპებმა მოიპოვეს სისხლისმღვრელ ბრძოლებში სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. ჩვენი ახალგაზრდობა დიდად აფასებს და არასოდეს არ დასთმობს უფროსი თაობის ოფლითა და სისხლით მოპოვებულ ბედნიერ ცხოვრებას. საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ იქნებიან მონები!

არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს საბჭოთა ახალგაზრდობის სიმტკიცისა და სიმამაცის დაძლევა. წითელი არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის ახალგაზრდა მებრძოლები მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას, პირსისხლიანი ჰიტლერის მიერ ოკუპირებული ქვეყნების ჭაბუკებსა და ქალიშვილებს უჩვენებენ იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა სამშობლოს დაცვა, ბრძოლა თავისი ღირსებისა და ახალგაზრდობისათვის. ეს საუცხოო მაგალითი აძლიერებს იმ ხალხთა საბრძოლო სულისკვეთებას, რომელნიც ფაშისტური უღლის ქვეშ გმინავენ, მილიონობით დამონებულ, მაგრამ დაუმორჩილებელ ადამიანს შეგნებაში უნერგავენ თავისი ძალების რწმენას, დაუცხრომელ იმედს, რომ დაჰკრავს შურისგების ჟამი.

საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძვის ინგლისის ახალგაზრდობა. ეს ბრძოლა სულ უფროდაუფრო ფართო ხასიათს იღებს. ინგლისის ახალგაზრდობა ინგლისის მთელ ხალხთან ერთად გრძნობს, თუ რა დახმარებას უწევს მათ წითელი არმია, რომელიც უმკლავდება ფაშისტთა ჯარის მთავარ იერიშს. საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ახალგაზრდობის ერთობლივი ბრძოლა, წითელი არმიისათვის იარაღით, თვითმფრინავებითა და ტანკებით დახმარების გაწევა უეჭველად დაღუპვამდე მიიყვანს პირსისხლიან ფაშიზმს.

ამერიკის ახალგაზრდობა ცხადჰყოფს თავის სოლიდარობას საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობისადმი. ოკეანის იქით მცხოვრებ მეგობრებს ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ ფაშიზმის განადგურებისათვის, ფაშიზმისა, რომელიც ამერიკის ქვეყნებსაც ემუქრება.

ანტიფაშისტური მიტინგი ფაშიზმის მიერ ოკუპირებული ქვეყნების ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, მთელი მსოფლიოს ახალგაზრდა პატრიოტებს მოუწოდებს წმინდა ბრძოლისაკენ ფაშიზმის წინააღმდეგ.

„ფაშიზმის მიერ ოკუპირებული ქვეყნების ჭაბუკებო და ქალიშვილებო!—ნათქვამია მიმართვაში, — ძვირფასო თანამებრძოლნო!

სიცოცხლე გაუმწარეთ ფაშისტებს, ყოველ ნაბიჯზე ავნეთ მათ, ააფეთქეთ საწყობები, რკინიგზის ლიანდაგები, მოშალეთ კავშირგაბმულობა, გააფუჭეთ მოწყობილობა. რადაც უნდა დაგიჯდეთ, დაანგრიეთ მტრის სამხედრო მრეწველობა! გააფართოეთ პარტიზანთა რიგები! გააღვივეთ დამმონებლებისადმი წმინდა, დაუნდობელი შურისძიების ცეცხლი“.

ჰიტლერელმა ავაზაკებმა მორალურად და იდეურად დაასახიჩრეს გერმანიის ახალგაზრდა თაობა, დეგენერატთა და გამხრწნელ მკვლელთა ბანდად აქციეს იგი. „გერმანიის ახალგაზრდობავ! — ნათქვამია მიმართვაში. — წარუხოცელ სამარცხვინო ლაქად გაჩნევია შენ ბავშვთა, ქალთა, მოხუცთა ცრემლი და სისხლი. გერმანიის ახალგაზრდობას არასოდეს არ შეუსრულებია ისეთი დანაშაულებრივი როლი, როგორიც შენ თავს მოგახვია ჰიტლერმა. და მანამდე, სანამ შენ ამ როლს ასრულებ,—მხოლოდ ზიზღი და სიკვდილია შენი ხვედრი.

შენი ხსნა მხოლოდ ის არის, რომ დაადგე პირსისხლიანი ჰიტლერისა და მისი ხროვის წინააღმდეგ ბრძოლის გზას“.

საბჭოთა ახალგაზრდობა მედგრად და ურყევად იბრძვის და იბრძოლებს თავისი მოსისხლე მტრის წინააღმდეგ, ფაშიზმის წინააღმდეგ.

— ჰიტლერს სურს ყმებად გვაქციოს ჩვენ, რათა ჭაპანწყვეტით ვმუშაობდეთ გერმანელი მემამულისათვის, ჯარისკაცთა როსკიპებად სურს მას გადაგვაქციოს... — სთქვა თავის სიტყვაში კომბაინერმა კლავდია კოპენკოვამ.—ჩვენი მიწა უნდათ, წყეულებს! რა გაეწყობა, მიწა ჩვენ ბევრი გვაქვს. ჩვენებურად, გლეხურად მივუზომავთ მათ „სასიცოცხლო სივრცეს“—სამ-სამ ადლს თვითეულს!

საბჭოთა ახალგაზრდობა აღზრდილი და გამოწრთობილია დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის მიერ. ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის არ არსებობს ცხოვრებაში უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე თავდადებული და გმირული ბრძოლა თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, თავისი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისათვის. დაე მსოფლიოს ახალგაზრდობამ მიჰბაძოს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის საუცხოო მაგალითს! დაე გაიზარდოს და განმტკიცდეს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტი მსოფლიოს ახალგაზრდობისა, რომლის ძალები აურაცხელია!

უფრო მჭიდროდ დარაზმეთ რიგები! უფრო გაბედულად გასწით ბრძოლაში! სახელი და დიდება უშიშარ მებრძოლთ ფაშიზმის წინააღმდეგ! ზიზღი და სიკვდილი გამცემლებსა და ლაჩრებს!

წინ, ჰიტლერიზმის გასანადგურებლად!

გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

„პრავდის“ მოწინავე, 29/IX.

სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა თათბირის ინგლისის და ამერიკის დელეგაციების ჩამოსვლა მოსკოვში

ა. წ. 28 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდნენ ინგლისისა და ამერიკის დელეგაციები სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა თათბირზე.

ინგლისის დელეგაცია ჩამოვიდა მთელი შემადგენლობით ლორდ ბივერბრუკის მეთაურობით.

ამერიკის დელეგაცია ჩამოვიდა მთელი შემადგენლობით ბ-ნ ჰარიმანის მეთაურობით.

მოსკოვში დელეგაციებს შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. კ. ა. უმანსკი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ა. ი. შახურინი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. დ. კრუტიკოვი, გენერალ-ლეიტენანტი ამხ. ფ. ი. გოლიკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ამხ. ვ. ა. რევიაკინი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, თავდაცვის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების მთელი რიგი პასუხისმგებელი თანამშრომლები, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის საელჩოს შემადგენლობა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნ კრიპსის მეთაურობით და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შემადგენლობა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნ შტეინჰარდტის მეთაურობით.

შეხვედრის დროს დაყენებული იყო საპატიო ყარაული.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. ბ. სტალინმა მიიღო ლორდი ბივერბრუკი და ბ-ნი ჰარიმანი

28 სექტემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. ბ. სტალინმა მიიღო სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ქ. მოსკოვის თათბირის ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარე ლორდი ბივერბრუკი და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის თავმჯდომარე ბ-ნი ჰარიმანი.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა და თათბირის სსრ კავშირის დელეგაციის წევრმა ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა.

სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა თათბირის გახსნა

29 სექტემბერს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა თათბირი, რომლის დასაწყისშიც დელეგაციების მეთაურებმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა, ლორდმა ბივერბრუკმა და ბ-ნმა ჰარიმანმა მოკლე მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. ამ სიტყვებში გამოთქმული იყო საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სრული ერთსულოვნება და განუხრელი გადაწყვეტილება ჰიტლერის გერმანიასთან ბრძოლისათვის.

თათბირმა დაამტკიცა შემდგომი მუშაობის წესრიგი და შექმნა მთელი რიგი კომისიები, რომლებიც დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. ბ. სტალინმა მიიღო ლორდი ბივერბრუკი და ბ-ნი ჰარიმანი

29 სექტემბერს ამხანაგი სტალინი მეორედ ესაუბრა ლორდ ბივერბრუკს სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ მოსკოვის თათბირის ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარეს და ბ-ნ ჰარიმანს — ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარეს.

საუბარში მონაწილეობას იღებდნენ თათბირის საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. ვ. მ. მოლოტოვი და საბჭოთა დელეგაციის წევრი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

დონბასი ზამთრისთვის ემზადება

სტალინო, 26 სექტემბერი (საქდესი). დონბასში გაჩაღდა მაღაროელთა ბინების მომზადება ზამთრისთვის.

ვერც მკაცრი ყინვები, ვერც ქარბუქი ვერ შეგვიშლის ხელს ქვანახშირის ამოღებაში; ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ზამთრის პირობებში ჩვენი შახტები მკაფიოდ, საომარ ყაიდაზე მუშაობდნენ—ასეთია მაღაროელთა ერთსულოვანი მისწრაფება. სევეროდონეცის გზის კაგანოვიჩის სახელობის სადგურის რკინიგზელთა გამოცდილებას, რომლებმაც შინარესურსები გამოიყენეს და საკუთარი ძალებით მოამზადეს სადგური ზამთრისთვის, ფართოდ იყენებენ დონბასის ბევრ საწარმოში. ტრესტ არტემუგოლის კოჩეგარკისა და №19-20 შახტებში სხვის დაუხმარებლად შეაკეთეს კალორიფერები, ტუმბოები და ბევრი სხვა აგრეგატი და მექანიზმი. ყველა საჭირო ნაწილი და დეტალი შახტების სახელოსნოებში დამზადდა. ტრესტ როდჩენკოუგოლის №17-17-ბის შახტში მოკლე ხანში გამოსცვალეს 300 მეტრი სათბობი მაგისტრალი, დასდგეს ქვაბი და შეაკეთეს 600 მეტრი ელექტროგანათების ხაზი.

ამავე დროს მიმდინარეობს ბინებისა და სარდაფების რემონტი. ფართოდ იყენებენ თვით მუშა მობინადრეთა დახმარებას. ცვლათა კრებებზე ტრესტ კუიბიშევუგოლის №8 შახტის მაღაროელებმა გადასწყვიტეს საკუთარი ძალებით შეაკეთონ ბინები. მათ მიეცათ ძველი ხე-ტყე და მუშაობისაგან თავისუფალ დროს დაიწყეს სახლებისა და სარდაფების შეკეთება და კასრების დამზადება ბოსტნეულის დასაწნილებლად. ბევრი მუშა სავსებით მოემზადა ზამთრისთვის, დააწნილა საკუთარ ბოსტნებში აღებული და მაღაზიებში ნაყიდი ბოსტნეული. წითელარმიელთა ოჯახებს ბინები შეუკეთეს საბინაო განყოფილების ძალებით, წინდაწინ მოუზიდეს რამდენიმე თვის ქვანახშირი.

სსრ კავშირის ახალგაზრდობის ყველა ორგანიზაციას, რომელთაც მისალმება გამოუგზავნეს ახალგაზრდობის მოსკოვის ანტიფაშისტური მიტინგის მონაწილეთ

მებრძოლო ამხანაგებო! მაგრად გართმევთ ხელს და მადლობას გიძღვნით გულმხურვალე მისალმებისათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობა არასოდეს არ ყოფილა ასე მტკიცედ დარაზმული ჩვენი მთავრობის გარშემო, ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო. ურყევია ჩვენი გადაწყვეტილება და ნება-სურვილი გამარჯვებისა. ცხადია ჩვენი მიზანი, მტკიცეა ჩვენი სული. ჩვენი ლოზუნგია— „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებისათვის!“

ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგი.

მისალმება ლენინგრადის ახალგაზრდობას

სულითა და გულით გიძღვნით საბრძოლო სალამს საბჭოთა ახალგაზრდობის სახელოვან რაზმს, ჩვენი ლენინგრადის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს!

მთელი ჩვენი ქვეყანა დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალყურს თქვენს გმირულ ბრძოლას. თქვენთან ვართ, ჩვენო საყვარელნო, მშობლიურნო!

წინ, მტრის წინააღმდეგ! ბრძოლა წყეულ ფაშიზმზე სრულ გამარჯვებამდე!

ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგი.

ინგლისის ახალგაზრდობის მისალმება მოსკოვის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგისადმი

ლონდონი, 27 სექტემბერი (საქდესი). ინგლისის ახალგაზრდობის მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა მისალმებით მიჰმართეს მოსკოვში შემდგარ ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ მიტინგს.

მანქანათმშენებლობის შეგირდ და მუშა ახალგაზრდობის ნაციონალური კომიტეტის მისალმება

საბრძოლო სალამი ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ მიტინგს ინგლისელი შეგირდი და ახალგაზრდა მელითონეებისაგან. ახალგაზრდა მელითონეთა ნაციონალური კონფერენცია, რომელიც დანიშნულია 5 ოქტომბრისათვის, ფიცს დასდებს გააძლიეროს თავისი მეცადინეობა, რათა მეტი იარაღი დამზადდეს ჩვენი საერთო მტრის გასანადგურებლად. საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ახალგაზრდა მუშები, ყველა ქვეყნის ახალგაზრდა მუშებთან ერთად, საზიზღარ ფაშიზმს მოსპობენ და გამარჯვებით მიაღწევენ მშვიდობიანობას.

მანქანათმშენებლობის შეგირდ და მუშა ახალგაზრდობის ნაციონალური კომიტეტის სახელით ჯონ მორი (შოტლანდია), დიკ ნეტელტონი (მანჩესტერი), გ. უაიტი (ლონდონი).

სტუდენტთა ნაციონალური კავშირის მისალმება

ინგლისელ სტუდენტებს ახლა შრომის ახალი წელიწადი ეწყებათ. გულითად სალამს ვუთვლით საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობას. თქვენი გმირული თავდადება ჩვენ ყველას აღგვაფრთოვანებს იმისათვის, რომ მთლიანად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა და ყველაფერი გავაკეთოთ, რათა თქვენი ღირსეული თანამებრძოლნი ვიყვნეთ ბრძოლაში.

ინგლისის მფრინავთა მისალმება მოსკოვის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგისადმი

ლონდონი, 28 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ლონდონის ავიაგამანადგურებელთა ესკადრილიის პირადმა შემადგენლობამ შემდეგი მისალმება გაუგზავნა მოსკოვის ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ მიტინგს: „კავშირი, რომელიც თქვენმა მფრინავებმა დაამყარეს ჩვენთან, გვაერთიანებს ჩვენ გერმანიის ავიაციის მოსპობის საერთო საქმისათვის, ნაცისტური ფაშისტური ტირანიის საბოლოო დამარცხების განხორციელებისათვის. ამხანაგებო, იარაღი აისხით! ჩვენი ქვეყნების ახალგაზრდობა ერთად იბრძოლებს აგრესიების წინააღმდეგ ყველა თავისუფალ ხალხთა აღსადგენად. ჩვენ, ინგლისის სამეფო ავიაციის მფრინავები, მივესალმებით სსრ კავშირის მფრინავებს“.

შვეციის ახალგაზრდობის მისალმება მოსკოვის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგისადმი

სტოკჰოლმი, 28 სექტემბერი (საქდესი). მოსკოვის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგის სახელზე გამოგზავნილია შემდეგი მისალმება: „შვეციის ახალგაზრდა ინტელიგენციის ანტიფაშისტური ორგანიზაცია მხურვალე, საბრძოლო სალამს უძღვნის მოსკოვის ანტიფაშისტურ მიტინგს. ჩვენ უდიდესი აღტაცებით ვადევნებთ თვალყურს საბჭოთა ახალგაზრდობის გმირულ მონაწილეობას ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და პირობას გაძლევთ, რომ ჩვენ შევძლებთ მოვიხადოთ ჩვენი ვალი ფაშიზმისაგან განთავისუფლებული კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ფრონტის ჩვენს უბანზე“.

თბილისის ახალგაზრდობის მიტინგი

გუშინ, 29 სექტემბერს, ჩატარდა თბილისის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგი. საღამოს 7 საათისათვის თბილისის სახესტრადის საზაფხულო დარბაზი სავსე იყო ახალგაზრდებით. აქ იყვნენ ახალგაზრდა მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები, მოსწავლეები და სხვ.

მიტინგი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. შენგელიამ.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი, კომკავშირელი ამხ. შ. ცხვედაძე.

— ჩვენს სამშობლოზე გამხეცებული ფაშისტების ვერაგულად თავდასხმას სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა ახალგაზრდობამ თავდადებული, გმირული შრომის გაჩაღებით უპასუხა, — სთქვა ამხ. ცხვედაძემ. ქარხანაში კომკავშირელებისა და კავშირგარეშე ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა 200-300 პროცენტით ასრულებს საწარმოო გეგმებს. ახლა ჩვენ გვყავს ორასოვანი ბრიგადები. ახალგაზრდები ნაყოფიერ შრომასთან ერთად გულმოდგინედ სწავლობენ სამხედრო საქმეს.

უდიდესი სიხარულით შეეგებნენ მიტინგის მონაწილენი საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. მასიჩის გამოსვლას.

— გათავხედებული ფაშისტები ცდილობენ გაძარცვონ ჩვენი მშვენიერი სამშობლო, — განაცხადა ამხ. მასიჩმა,—დაიმონონ საბჭოთა ხალხები, აღადგინონ კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობა. მაგრამ კაციჭამია ჰიტლერელები ამას ვერ ეღირსებიან. საბჭოთა ხალხი, ჩვენი გმირული წითელი არმია გამანადგურებელ ლახვარს სცემენ ჰიტლერელ ბანდიტებს. ფაშიზმი მოსპობილი იქნება, აღიგვება პირისაგან მიწისა, ამის თავდებია საბჭოთა ადამიანების მზადყოფნა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვან ჩვენი ქვეყანა, ამის თავდებია ის, რომ დიად სამამულო ომში ძლევამოსილ საბჭოთა ხალხს წინ მიუძღვის ხალხთა საყვარელი ბელადი, უდიდესი გენიოსი ამხანაგი სტალინი, — ამთავრებს სიტყვას ამხ. მასიჩი. ამხანაგ სტალინის სახელის ხსენებაზე მთელი დარბაზი ფეხზე დგება, დიდხანს გაისმის შეძახილები და „ვაშა“ საყვარელი ბელადის პატივსაცემად.

შემდეგ მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ მემანქანის თანაშემწე, ლუნინელი ქალი ამხ. ხუბულური, თბილისის რკინიგზის მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლე ამხ. კიკვაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ამხ. მახარაძე, ახალგაზრდა პოეტი — რ. მარგიანი და საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ცქიტიშვილი. სამშობლოსადმი, საბჭოთა ხალხისადმი, ჩვენი მამისა და მასწავლებლის დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით იყო აღსავსე მიტინგზე გამოსულთა სიტყვები.

დასასრულ მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც იგი იწონებს და უერთდება მოსკოვის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგის გადაწყვეტილებას და მოუწოდებს საქართველოს ახალგაზრდობას დაუღალავად, თავდადებით იმუშაოს, ყველაფერი გააკეთოს ჩვენი გმირული წითელი არმიის გამარჯვებისათვის, გათავხედებული ფაშიზმის მოსპობისათვის.

მიტინგს დაესწრნენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხ. კ. შეროზია, ა. თოფურიძე და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჩერქეზია.

ჰიტლერელი გენერლები ანგარიშში მოტყუვდნენ

მოსკოვი („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). „ჰიტლერელი გენერლები ანგარიშში მოტყუვდნენ“ — ასე ეწოდება მაიორ კ. ანანიევის სტატიას, რომელიც მოთავსებულია 25 სექტემბრის „იზვესტიაში“ და მოგვითხრობს თითქმის ათი დღის ბრძოლებზე ბრიანსკთან. ამ ბრძოლებში, რომლებიც გენერალ ჰუდერიანის სატანკო ჯგუფის დამარცხებით დამთავრდა, გერმანელებმა 20.000-ზე მეტი კაცი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ბრიანსკზე დარტყმის გეგმა, რომელიც გერმანიის სარდლობამ შეიმუშავა, ითვალისწინებდა აეროდრომების დათრგუნვას მოსკოვში, მეორე სატანკო ჯგუფის მიერ მარჯვენა ფლანგით ბრიანსკზე გამოვლით კურსკისაკენ გამოსვლას, პირველი სატანკო ჯგუფის გამაგრებას ვალდაის მაღლობის მისადგომებზე და შემდეგ მოსკოვისაკენ გაჭრას.

როსლავლიდან ბრიანსკისაკენ გამოგზავნილ იქნენ 29-ე მოტორიზებული დივიზია, 94-ე, 31-ე, 147-ე, 217-ე და 34-ე ქვეითი დივიზიები, მე-3 სატანკო დივიზია და ჰუდერიანის 2 ჯგუფი, რომლებიც შესდგებოდნენ სამი სატანკო დივიზიისა და 3 მოტორიზებული დივიზიისაგან. აგვისტოს დამლევიდან მთელი რიგი დასახლებული პუნქტები ბრიანსკის წინ გააფთრებული ბრძოლების ობიექტად იქცნენ. გერმანელი გენერლები მოუთმენლად ელოდნენ ცნობას ამ ქალაქის აღების შესახებ. მაგრამ მთელი მეცადინეობის მიუხედავად, მათ ვერ შესძლეს როსლავლიდან ბრიანსკისაკენ გამოჭრა. ჩვენი არტილერია და ავიაცია ანადგურებდნენ მტერს კოლონებშიც და ჯგუფებად თავმოყრილსაც. ტანკისტები და ქვეითები დღედაღამ ურტყამდნენ მას. ცალკეულ ჯგუფებად მოქმედი პარტიზანები ზურგიდან სპობდნენ ჰიტლერელებს.

რაკი როსლავლის მხრიდან ბრიანსკზე შეტევაში მარცხი განიცადეს, ჰიტლერელმა გენერლებმა სამხრეთისაკენ დაიწყეს და ქალაქ პოჩეპის მხრიდან მიუსიეს თავისი ჯარები ბრიანსკს. მაგრამ მრავალი დღის დაძაბული ბრძოლების შემდეგ ისინი აქაც შეჩერებულ იქნენ ჩვენი მებრძოლების, მეთაურებისა და კომისრების ვაჟკაცობისა და გმირობის მეოხებით. ათასობით გერმანელ ჯარისკაცთა გვამებით მოიფინა ბრიანსკის მისადგომები, მაგრამ ბრიანსკი მაინც შორსაა გერმანელებისათვის.

ორი სატანკო ჯგუფის სარდალმა გენერალმა ჰუდერიანმა მოტორიზებული და ქვეითი დივიზიების თანხლებით ამის შემდეგ თავის ზურგში კიდევ უფრო შორს დაიწია სამხრეთისაკენ და მესამედ სცადა გადამწყვეტი იერიში მიეტანა ბრიანსკზე ერთბაშად სამი მიმართულებიდან.

წითელი არმიის შენაერთები მამაცურად გაეშურნენ მტრის შესახვედრად. ჩვენმა ტანკებმა, ავიაციამ, ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა ჰუდერიანისა და სხვა ჰიტლერელი გენერლების ძალებს შემხვედრი ბრძოლა გაუმართეს ტრუბჩევსკის რაიონში. სატანკო ბრძოლამ რამდენიმე დღეს გასტანა. ეს ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა.

გერმანელები დამარცხდნენ აგრეთვე სადგურ ზნობთან და ნოვო-ვასილიევსკთან. აქ გენერალმა პოლტენშტერნმა პირველ ხანებში შესძლო თავისი 29-ე მოტორიზებული დივიზიის ნაწილის გადმოყვანა მდინარე დესნაზე. მაგრამ მალე გერმანელები დესნაში ჩაყარეს და ამ მდინარის ნაპირები მტრის ათასობით გვამებით დაიფარა.

2 დღის შემდეგ ამ უბნებზე ჩვენი დივიზიები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. მარცხენა ფლანგზე (პოჩეპი, ნოვგოროდ-სევერსკი) ნელა იხევდნენ უკან ჩვენი ნაწილების მიერ შევიწროებულნი — გერმანელთა 250-ე ქვეითი დივიზია, მე-10 მოტორიზებული დივიზია, 178-ე ქვეითი დივიზია და ჰუდერიანის ძლიერ დაზარალებული ჯგუფი. პოჩეპთან მაგარი დარტყმა იგემა „სს“ 101-ე პოლკმა.

ათობით დასახლებული პუნქტები, რომლებიც მტერს ეკავა, ბრძოლით დაიბრუნა წითელმა არმიამ. სიხარულის ცრემლებით ხვდებოდნენ მებრძოლებს ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებიც გერმანელებს ემალებოდნენ. გერმანელები იძულებული გახდნენ სასწრაფოდ ზურგში გაეგზავნათ ამ ბრძოლებში მონაწილე მეტწილი დივიზიები—„მოსამჯობინებლად“.

ვ. ყარა-მურზა

სარკინიგზო ასეულის საბრძოლო დღეები

მოსკოვი („კომუნისტის“ საქ. კორ.). გაზეთი „გუდოკი“ ათავსებს კორესპონდენციას ერთი სარკინიგზო ასეულის საბრძოლო დღეების შესახებ. ეს ასეული შესანიშნავია არა მარტო თავისი ტექნიკური დახელოვნებით, არამედ საბრძოლო სიმამაცითაც. იგი ამხანაგობის, მეგობრობისა და ბოლშევიკური აღზრდის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ასეულის მეთაურთა და მებრძოლთა უმრავლესობა მუშაობდა რკინიგზებზე ორთქლმავლის მემანქანეებად, მემანქანეების თანაშემწეებად, დეპოს ზეინკლებად, ლიანდაგისა და ვაგონების მომუშავეებად. ახლა ისინი საკუთარი მკერდით იცავენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწა-წყალს.

„ამ ქვედანაყოფში, — სწერენ „გუდოკის“ კორესპონდენტები ა. ვოლგინი და ვ. კარაკოვსკი, — მეგობრულ, პატრიოტულ ოჯახად ცხოვრობენ 12 ეროვნების წარმომადგენლები. ერთმანეთის მხარში ამომდგარნი ებრძვიან მტერს რუსი ტებიევი, თათარი გორშკოვი, ქართველი ჩხეიძე, ბელორუსი დავიდოვიჩი, უკრაინელი გარკავენკო, მორდველი სიმაკოვი, ებრაელი იოფე“.

საბრძოლო ნათლობა ასეულმა მიიღო არა როგორც ტექნიკურმა ქვედანაყოფმა, არამედ იარაღით ხელში, იცავდა რა სადგურ ბ-ს მისადგომებს.

ბრძოლა უეცრად დაიწყო. ქვედანაყოფი სადგურ ბ-ში ისვენებდა, როდესაც მიღებული იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ ფაშისტები ემზადებიან სადგურის ხელში ჩასაგდებად. მეთაურმა სწრაფად გამოიყვანა ასეული თავდაცვის მიჯნებზე. და აქ მებრძოლმა რკინიგზელებმა დაამტკიცეს, რომ მათ არა მარტო სარკინიგზო საქმე იციან, არამედ იარაღსაც საუკეთესოდ ხმარობენ. ცხრა საათს გაგრძელდა გააფთრებული ბრძოლა. ზემდეგი გარკავენკო შეუფერხებლად ამარაგებდა ასეულს საბრძოლო მასალით. იგი ორჯერ დაიჭრა, მაგრამ მაინც არ დასტოვა ბრძოლის ველი. უშიშრად იბრძოდნენ რკინიგზელი მებრძოლები ამხ. შეინერი და ჩხეიძე. ისინი ზუსტად ესროდნენ ფაშისტებს. მტერს ძვირად დაუჯდა სადგურ ბ-ს ხელში ჩაგდების ცდა. ბევრ ფაშისტს გაეთხარა სამარე ამ სადგურის მისადგომებზე.

ბრწყინვალედ ასრულებს რა საბრძოლო დავალებებს, ასეული არცერთ დღეს არ სწყვეტს ტექნიკურ სწავლებას. სამხედრო-სარკინიგზო საქმის შესწავლასთან ერთად, მებრძოლები წარმატებით ეუფლებიან საბრძოლო იარაღს.

ავიანაწილის მექანიკოს ამხ. ქაჩლიშვილის ენერგიული მუშაობა

მოსკოვი („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). ამასწინათ მოსკოვში მიღებულ ერთერთ საფრონტო გაზეთში მოთავსებულია წითელი არმიის ერთერთი ავიანაწილის მექანიკოს ამხ. ქაჩლიშვილისადმი მიძღვნილი შემდეგი სტრიქონები: „ავიაგამანადგურებლის ფრთების სიბრტყეები და ფიუზელაჟი რამდენიმე ადგილას არის გახვრეტილი. ტყვიამფრქვევები ჯერ კიდევ არ გაცივებულა. ცხარე ბრძოლა იყო. „უნდა უმკურნალოთ, ამხანაგო ქაჩლიშვილო“, — ეუბნება კაპიტანი ნიკოლაენკო თვითმფრინავის მექანიკოსს. მექანიკოსმა დაათვალიერა მანქანა და მფრინავს მოახსენა: „სამი საათის შემდეგ მანქანა მწყობრში იქნება.“ და ზუსტად სამი საათის შემდეგ ამხ. ქაჩლიშვილმა მოახსენა კაპიტან ნიკოლაენკოს, რომ მანქანა შეკეთებულია და გაფრენისათვის მზად არის. მექანიკოსი ქაჩლიშვილი ერთერთი საუკეთესოა № ავიანაწილში. მას პატივს სცემს ყველა მფრინავი. „იმ მანქანით, რომელსაც ქაჩლიშვილი ამზადებს, თამამად შეგიძლია წახვიდე საბრძოლველად, — ამბობს კაპიტანი ნიკოლაენკო. — მატერიალური ნაწილი არასოდეს არ გიმტყუნებს“.

უკანასკნელ თვეში თვითმფრინავი, რომელსაც ქაჩლიშვილი ემსახურება, 107-ჯერ აფრინდა. ზოგჯერ მანქანა დღეში 7-8 გაფრენას ახდენდა და ყოველთვის მოტორი შეუფერხებლად მუშაობდა. ყველა მექანიზმი უნაკლოდ მოქმედებდა.

ერთხელ მოტორის გარსაცმები დაზიანდა. საჭირო იყო მათი შეკეთება დილის 6 საათისათვის. მექანიკოსი მთელ ღამეს განუწყვეტლივ მუშაობდა, და უკვე 4 საათზე მანქანა მწყობრში იყო. და ასეა ყოველთვის. მექანიკოსი ქაჩლიშვილი იცნობს თავის თვითმფრინავს და უყვარს იგი, ისე უვლის მას, როგორც მზრუნველი დედა თავის შვილს“.

კომუნისტი

სამშაბათი, 30 სექტემბერი, 1941 წ. № 231 (6236)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 სექტემბრის დილის ცნობა

27 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს აწარმოებდნენ მტრის წინააღმდეგ მთელს ფრონტზე.

• • •

ფრონტის დასავლეთი მიმართულების ერთერთ უბანზე შვიდი დღის ბრძოლის შედეგად ამხ. იუშკევიჩის ნაწილებმა დიდი ზარალი მიაყენეს მტერს და აიძულეს გამაგრებული პოზიციები დაეტოვებინა. ერთი კვირის განმავლობაში ამხ. იუშკევიჩის ნაწილებმა მოსპეს გერმანიის ქვეითი ჯარის 18 ასეული. ბრძოლის ველზე აკრეფილ იქნა გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა 2.300 გვამი. მოსპობილია მტრის 18 ტანკი, 41 ავტომანქანა საომარი მასალითურთ, 10 ნაღმსატყორცნის ბატარია, დანგრეულია 10 ხიდი და მიწის საცეცხლე წერტი. ტყვედ წამოყვანილია მრავალი გერმანელი ჯარისკაცი. ნადავლ დაუზიანებელ საჭურველს შორის არის 48 ქვემეხი, 19 ნაღმსატყორცნი, 64 ტყვიამფრქვევი, 2 რადიოსადგური და დიდძალი შაშხანა.

• • •

ჩვენმა ნაწილებმა ფრონტის ჩრდილოეთ-დასავლეთი მიმართულების ერთერთ უბანზე მოსპეს მტრის 580 ჯარისკაცი და ოფიცერი. მწყობრიდან გამოყვანილია გერმანელთა 6 ტანკი; ნაწილებმა ხელთ იგდეს 3 ქვემეხი, 20 ტყვიამფრქვევი და 500 შაშხანა. ფრონტის ჩრდილოეთ-დასავლეთი მიმართულების მეორე უბანზე ჩვენი ჯარის ნაწილებმა ხელთ იგდეს 5 დაზგის ტყვიამფრქვევი, 26 ავტომატი და ხელის ტყვიამფრქვევი, 334 შაშხანა, 127 ველოსიპედი, 4 ავტომანქანა და რადიოსადგური.

• • •

მეთაურ გოროდნიანსკის ნაწილებმა, რომელნიც ფრონტის დასავლეთი მიმართულებით მოქმედებენ, 25 სექტემბერს მოსპეს 150-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 10 ტანკი, 27 ავტომანქანა და 6 საზენიტო წერტი.

• • •

კაპიტან პესლიაკოვის მფრინავ-მოიერიშეთა რგოლმა ფრონტის სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების ერთერთ უბანზე მოსპო 37-მდე ავტომანქანა მტრის ქვეითი ჯარითურთ. მეორე დღეს კაპიტან პესლიაკოვის რგოლმა იერიში მიიტანა მტრის აეროდრომებზე. მიუხედავად ძალიან ცუდი ამინდისა, საბჭოთა მფრინავები ზუსტად მიადგნენ მიზანს და დაბომბეს მტრის 12 თვითმფრინავი.

• • •

გაბედულად მოქმედებენ გერმანიისა და რუმინეთის ჯარების ზურგში ოდესის ოლქის პარტიზანული რაზმები. პარტიზანულმა რაზმმა, რომელსაც ამხ. ს. მეთაურობს, ნადავლი ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოსპო კატერი 9 გერმანელი ჯარისკაცითურთ. მეორე დღეს ამ რაზმმა დახოცა რუმინელ ჯარისკაცთა ჯგუფი, რომელიც მდინარე ბ-ზე გადმოსვლას ცდილობდა. პარტიზანები აუტანელ პირობებს ჰქმნიან მტრისათვის. ერთერთმა ტყვემ დაკითხვაზე განაცხადა: „პარტიზანები—ეს არის მეორე საბჭოთა არმია, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ, მაგრამ რომელიც სიცოცხლეს გვიმწარებს“.

სამ დღეს მუშაობდნენ გერმანელები მდინარის ხიდის აღსადგენად ქალაქ გ-ს რაიონში. პარტიზანულმა რაზმმა ახალ ხიდზე გადმოუშვა დიდი ალალი, ხოლო შემდეგ ცეცხლი წაუკიდა ხიდს. მდინარიდან რვა კილომეტრ მანძილზე ალალს დაუხვდა პარტიზანთა მეორე რაზმი. გაჩაღებულ ბრძოლაში გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს. ორი პარტიზანული რაზმის ერთსულოვანი შეთანხმებული მოქმედების წყალობით ერთი დღის განმავლობაში მოკლულ იქნა 57 გერმანელი ჯარისკაცი და ორი ოფიცერი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 49 შაშხანა, 11 ავტომატი, 50 ხელყუმბარა, 19 რევოლვერი და 2 ტყვიამფრქვევი.

რკინიგზის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან შემდგარი პარტიზანული რაზმი, რომელსაც დისპეტჩერი ამხ. კ. მეთაურობს, თავს დაესხა სამხედრო მატარებელს. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდძალი საომარი მასალა და რამდენიმე ავტომანქანა, ხოლო შემდეგ დასწვეს მატარებლის შემადგენლობა. ორთქლმავალი მოხსნეს შემადგენლობას და მთელი სისწრაფით გაუშვეს რკინიგზის სადგურ ნ-საკენ. სადგურში ორთქლმავალი დაეჯახა მატარებელს, რომელშიც გერმანელი ჯარისკაცები იმყოფებოდნენ. მარცხის შედეგად სულ ცოტა 150 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა.

• • •

ჰიტლერელთა ცდას, შეამცირონ აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიის არმიის დანაკლისის ციფრები, აბათილებს გერმანელთა მრავალი საიდუმლო დოკუმენტი, რაც ხელთ იგდეს ჩვენმა ნაწილებმა, და ტყვეების ჩვენება. მაგალითად, მე-9 საარმიო კორპუსის გენერალი ჰაიერი საომარი მოქმედების მიმოხილვაში, რომელიც ხელში ჩაუვარდა ჩვენი ჯარის ნაწილს, აღიარებს, რომ 22 დღის განმავლობაში კორპუსმა მარტო მოკლულთა სახით 4.000-ზე მეტი კაცი დაჰკარგა. დაჭრილებთან ერთად კორპუსმა პირადი შემადგენლობის დაახლოებით მესამედი დაჰკარგა.

98-ე დივიზიის 288-ე ქვეითი პოლკის მე-3 ბატალიონის ტყვე ეფრეიტორმა კარლ ჰეინცმა აჩვენა: „ჩვენი დივიზიის დანაკლისი მნიშვნელოვანია. ჩვენმა პოლკმა თავისი შემადგენლობის 50 პროცენტი დაჰკარგა. სულ უფრო-და-უფრო ხშირად აერთიანებენ დაზარალებულ ბატალიონებსა და ასეულებს“. 98-ე დივიზიის 288-ე პოლკის მე-10 ასეულის ობერეფრეიტორმა ვინცელ რიხტერმა გვიამბო: „ასეულის დანაკლისი ძალიან დიდია. იგი პირადი შემადგენლობის 60 პროცენტს აღემატება. თითქმის ყველა ოფიცერი დაიღუპა. ასეთი მდგომარეობაა დივიზიის ყველა ქვედანაყოფში. სამეურნეო ქვედანაყოფთა ბევრი ჯარისკაცი სამწყობრო ნაწილებში გადაიყვანეს“. 23-ე ქვეითი დივიზიის მე-4 ქვეითი პოლკის მე-12 ასეულის. ჯარისკაცი რუდოლფ ცვიფელსფერი ამბობს: „ჩვენს არმიას დიდი ზარალი მოსდის. ბელოსტოკიდან როსლავლამდე პოლკის გადმოსვლის დროს ჩვენ ვხვდებოდით ათასობით მანქანასა და საზიდარს, რომლებითაც დაჭრილი ჯარისკაცები გადაჰყავდათ. სოფლებსა და ტყეებში არის მრავალი საველე ჰოსპიტალი, რომლებიც სავსეა დაჭრილებით“.

135-ე პოლკის მე-2 ასეულის ჯარისკაცი როლფ დერნი მოგვითხრობს: „ბევრი ჯარისკაცი ომით უკმაყოფილოა. ეს უკმაყოფილება დღითი-დღე ძლიერდება, განსაკუთრებით იმ ზარალთან დაკავშირებით, რაც ჩვენს ნაწილს მოუვიდა. 1.200 ჯარისკაციდან, მარტო გზაში ფრონტის მოწინავე ხაზამდე ჩვენ საბჭოთა ავიაციისა და არტილერიის ცეცხლისაგან მოკლულთა და დაჭრილთა სახით დავკარგეთ 500 კაცი“. 1-ლი დივიზიის 1-ლი პოლკის შოფერი ჰერბერტ გრამსი გაუგზავნელ წერილში ძმისადმი სწერს: „ჩვენი მდგომარეობა მეტად მძიმეა. ბევრი უკვე გამოეთხოვა სიცოცხლეს ან დაჭრილია. ჩვენს ალალებს ძალიან ხშირად თავს ესხმიან რუსები. ჩვენი დანაკლისი უდიდესია“.

• • •

რუმინეთში ბოლო დროს მოხდა მატარებლის რამდენიმე კატასტროფა და აფეთქება სამრეწველო საწარმოებში. ამ დღეებში ლიანდაგს ასცდა და დაიმსხვრა სამხედრო მატარებელი, რომლითაც ფრონტზე მიემგზავრებოდნენ გერმანელი ჯარისკაცები. მოკლულია 100-ზე მეტი ფაშისტი. 10-დან 20 სექტემბრამდე ქალაქებში კრაიოვასა, ტემიშოარასა და ორადიაში დაიწვა გერმანიის არმიისათვის განკუთვნილი სურსათ-სანოვაგის 4 საწყობი. თითქმის ყოველ დღე საქონლის სადგურებში რუმინელი ანტიფაშისტები ცეცხლს უკიდებენ სამხედრო საჭურვლით დატვირთულ ვაგონებს. საბოტაჟის მრავალ აქტთან და დივერსიებთან დაკავშირებით, რუმინეთის გაზეთ „უნივერსულში“ გამოქვეყნდა ხელისუფალთა განკარგულება, სადაც ნათქვამია: „რუმინეთის რკინიგზებზე და სამრეწველო საწარმოებში მზადდება საბოტაჟის აქტები იმ მიზნით, რომ ჩაშალონ ჯარის გადაყვანა, საჭურვლისა და სურსათ-სანოვაგის გადაზიდვა. ყველა, ვისაც დანაშაული მიუძღვის ამ აქტებში, ადგილზევე დახვრეტება“.

28 სექტემბრის საღამოს ცნობა

28 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლას მტერთან მთელ ფრონტზე.

26 სექტემბერს მოსპობილია გერმანიის 98 თვითმფრინავი. ჩვენ 31 თვითმფრინავი დავკარგეთ.

ჩვენმა ჩრდილოეთის ფლოტის ხომალდებმა ჩაძირეს მტრის 2 ტრანსპორტი 8.000 და 5.000 ტონა წყალწყვისა. სანაპირო ბატარეებმა და ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ხომალდებმა ჩაძირეს მტრის 1 კრეისერი და 1 ნაღმოსანი და ძლიერ დააზიანეს 2 ნაღმოსანი.

შავ ზღვაში ჩაძირულია მტრის 6.000 ტონა წყალწყვის ტანკერი.

მოსკოვთან 27 სექტემბერს ჩამოგდებულია გერმანიის ორი მზვერავი თვითმფრინავი და 28 სექტემბერს ჩამოგდებულია კიდევ 2 თვითმფრინავი.

• • •

26 სექტემბერს ღამით და 27 სექტემბერს დილით ჩვენი თვითმფრინავების ცალკეულმა ჯგუფებმა, რომლებიც ფრონტის დასავლეთი მიმართულებით მოქმედებენ, დიდი წარმატებით დაბომბეს მტრის აეროდრომები. დილით ადრე საბჭოთა მოიერიშე თვითმფრინავების რაზმი უეცრად დაესხა თავს გერმანელთა რამდენიმე აეროდრომს. მიწაზე აღმოჩენილ იქნა 7 ოთხმოტორიანი, 12 ერთმოტორიანი და 15 ორმოტორიანი თვითმფრინავი. ჩამოყრილი ბომბებითა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მტრის მანქანები მოსპობილ იქნენ. ერთერთ აეროდრომზე დასწვეს ანგარი. სულ 26 სექტემბერს ღამით და 27 სექტემბერს დილით ფრონტის დასავლეთი მიმართულებით მოქმედმა ჩვენმა ავიაციამ საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდო და მიწაზე მოსპო მტრის 66 თვითმფრინავი.

• • •

შესანიშნავი გმირობა ჩაიდინა 27 სექტემბერს სამხედრო ფერშალმა მარიამ კრიუკოვამ. ფრონტის დასავლეთი მიმართულების ერთერთ უბანზე მტერმა იერიში მოიტანა № მსროლელ ნაწილზე. ამხ. კრიუკოვა განუყრელად იყო თავის ქვედანაყოფში, დახმარებას უწევდა მსუბუქად დაჭრილთ, ხოლო მძიმედ დაჭრილნი ზურგში გადმოჰყავდა. 3 საათში მან ტყვიამფრქვევისა და ნაღმსატყორცნის განუწყვეტელ ცეცხლქვეშ ჭრილობები შეუხვია და ბრძოლის ველიდან გამოსვლაში უშველა 20 დაჭრილ მებრძოლს.

• • •

ფრონტის ჩრდილო-დასავლეთი მიმართულების ერთერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს მტრის 30 ტანკი, 10 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, 10 ნაღმსატყორცნი, 3 საშტაბო მანქანა, 8 მსხვილი ყალიბის ტყვიამფრქვევი.

• • •

გერმანიის 32-ე ქვეითი დივიზიის მე-4 პოლკის ეფრეიტორ ერხარდ შრედერს, რომელიც მოკლულ იქნა ფრონტის ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით, აღმოაჩნდა დღიური. ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი ამონაწერი ამ დღიურიდან:

„**9 ივლისი.** მეტად დიდი ზარალი მოგვდის. მიმალულმა რუსმა მსროლელებმა ბევრი ჩვენი ოფიცერი მოჰკლეს. დღეს პოლკმა 16 ოფიცერი და 182 რიგითი მებრძოლი დაჰკარგა.

19 აგვისტო. შემაძრწუნებელი ზარალი მოგვდის. მსროლელი ლაუბერი და ერთი უფროსი მსროლელი ნაღმს წააწყდნენ. მაშასადამე, ჩვენს ოცეულში 15 კაციღა დარჩა. ჩვენ უნდა დავიცვათ 300 მეტრი პოზიცია. როდის გველირსება, რომ შეგვცვალონ და გაგვიყვანონ აქედან!

21 აგვისტო. ტალახიან ორმოებში ვწევართ. მთელ დღეს რუსები არტილერიით გვაყრუებენ. ეს საშინლად მოქმედებს ნერვებზე. ჩვენი არტილერია თითქმის არ ისვრის—ამბობენ, ყუმბარები გვაკლიაო.

30 აგვისტო. ყველას ეგონა, რომ ცოტას დაგვასვენებდნენ და 4 კვირაში პირველად შევძლებდით პირის დაბანას. თურმე ასე არ არის. ამიტომ კიდევ წინ უნდა წავიდეთ. აშკარად სასიკვდილოდ მივერეკებიან“.

ამ დღიდან ეფრეიტორს მიუტოვებია თავისი დღიური. შრედერის ნივთებში აღმოჩნდა აგრეთვე დაუმთავრებელი წერილი საცოლისადმი:

„რუსეთი, 1941 წლის 13 სექტემბერი. ძვირფასო მედი! ორი საათის წინათ დაიღუპა ვერნერ მაიერი. 7 საათზე ჩვენ იერიში დავიწყეთ, და ვერნერი წინ წავიდა ლეიტენანტთან ერთად. გზა დანაღმული იყო. ორივენი ნაფლეთებად იქცნენ. ვიგანტი დაჭრილია თავში. კარლ იუსლორფი თავშია დაჭრილი და ალბათ ჭკუაზე შეიშლება. იცი რამდენი დავრჩით? მთელი ოცეულიდან დარჩენილი ვართ მხოლოდ ჰანს გრენი და მე.

გუშინწინ ასეულმა ორი საათის განმავლობაში 82 კაცი დაჰკარგა. მთელი ჩვენი ამაყი ბატალიონიდან პატარა ჯგუფიღა დარჩა. ეს ომი მკაცრია და კიდევ ბევრი დასტოვებს თავის ძვლებს რუსეთში“.

• • •

ფაშისტები ღვარძლიანად დასცინიან წითელი არმიის იმ მებრძოლებსა და მეთაურებს, რომლებიც ტყვედ ჩავარდნენ, და საშინლად აწამებენ მათ. პოლკის კომისარი ამხ. გუმენიუკი, რომელმაც თავი დააღწია ფაშისტურ ტყვეობას, ასეთ ფაქტებს მოგვითხრობს: გრეიგოვოს სადგურზე ფაშისტებმა ტყვედ ჩაიგდეს წითელარმიელთა მცირე ჯგუფი და რამდენიმე დღის განმავლობაში მათ საჭმელსა და წყალს არ აძლევდნენ. გერმანელთა ბანდამ საშინლად აწამა ტყვე წითელარმიელებისა და მეთაურების ჯგუფი. რამდენიმე ტყვეს ყურები დასჭრეს, თვალები დასთხარეს, ხელები მოჰკვეთეს, შემდეგ კი ხიშტებით განგმირეს. როდესაც დარჩენილი რამდენიმე ტყვე ბანაკში გარეკეს, ზოგიერთი მათგანი დასუსტებისაგან ეცემოდა. ვისაც სიარული აღარ შეეძლო, მათ ფაშისტი ჯალათები ჰკლავდნენ. ლოცკინსის სადგურზე გერმანელები დიდხანს აწამებდნენ ტყვე ლეიტენანტსა და პოლიტხელს, შემდეგ კი ორივენი მახვილით დაჰკლეს.

• • •

პარტიზანული მოძრაობა იუგოსლავიაში კვლავ წარმატებით ვითარდება. ქალაქ ტრებინეს ახლოს პარტიზანებმა იერიში მიიტანეს მატარებელზე, რომელშიც გერმანელი და იტალიელი ჯარისკაცები იყვნენ. გაჩაღებულ ბრძოლაში მოსპობილ იქნა 93 ფაშისტი ჯარისკაცი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდძალი საომარი მასალა და ასზე მეტი შაშხანა. ამავე რაზმმა იუგოსლაველ ოფიცერ კ-ის მეთაურობით დაანგრია რკინიგზის ლიანდაგი სადგურ რაგუზასა და ჰერცეგნოვს შუა. დუბროვნიკის ნავსადგურში პარტიზანებმა იტალიის გემი ჩაძირეს.

სერბიელების დიდი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა იტალიელთა რაზმს ქალაქ ფოჩას ახლოს. პარტიზანებმა ტყვიამფრქვევის ცეცხლითა და ხელყუმბარებით მოსპეს 67 ჯარისკაცი. იტალიური გაზეთი „პოპოლო დი რომა“ იუგოსლავიაში პარტიზანული მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით იძულებულია აღიაროს, რომ აგრამსა და სარაევოს შუა მდებარე ტერიტორიაზე ათასობით სერბიელები ანგრევენ ღერძის სახელმწიფოთა კომუნიკაციებს.

29 სექტემბრის დილის ცნობა

28 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ მტერთან ბრძოლას მთელს ფრონტზე.

• • •

სამხრეთის ფრონტის ერთერთ უბანზე ამხ. სმირნოვისა და ხარიტონოვის ნაწილებმა 27 სექტემბერს გაანადგურეს რუმინეთის მე-2 და მე-4 ქვეითი ბრიგადები. მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა 2.500-ზე მეტი მოკლული. არასრული ცნობებით, ტყვედ წამოყვანილია 300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ ვიგდეთ 47 ქვემეხი, 2 ტანკი, ბევრი ტყვიამფრქვევი, ჭურვები, ვაზნები და სხვა სამხედრო ქონება. ჩვენი ჯარის ნაწილები კვლავ დიდ ზარალს აყენებენ მტერს.

• • •

ფრონტის ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულების ერთერთ უბანზე ჩვენმა ავიაციამ მოსპო მტრის 40 ავტომანქანა, 5 ჯავშნიანი მანქანა, 3 საარტილერიო ბატარია და მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. ფრონტის მეორე უბანზე საბჭოთა მფრინავებმა მოსპეს გერმანელების 30 ტანკი, 40 ავტომანქანა და ერთი ასეული.

• • •

ფრონტის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ერთერთ უბანზე ჩვენმა თვითმფრინავებმა მოსპეს მტრის 60 ავტომანქანა, 4 ნაღმსატყორცნის წერტი და ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მტრის 10 თვითმფრინავი.

ამხ. როდიონოვისა და ვორობიოვის ნაწილებმა, რომლებიც ფრონტის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ერთერთ უბანზე მოქმედებენ, ორი დღის ბრძოლაში მოსპეს დაახლოებით 600 თეთრფინელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 3 ქვემეხი, 15 ტყვიამფრქვევი და ბევრი საომარი მასალა და სამხედრო ქონება.

• • •

პსკოვშჩინის ერთერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი ამხ. ი-ს მეთაურობით სექტემბერში 12-ჯერ დაესხა თავს ფაშისტთა ავტოკოლონებსა და ალალებს. თავდასხმების შედეგად მოსპობილია 20-ზე მეტი სატვირთო მანქანა საომარი მასალითურთ, 10 ცისტერნი საწვავი და 2 მოძრავი ავტოსარემონტო სახელოსნო. პარტიზანებმა ხელთ იგდეს გერმანელთა დაახლოებით 200 ყუთი კონსერვი და მედიკამენტები, აგრეთვე ალალი ჯარისკაცთა ზამთრის ტანისამოსითა და ფეხსაცმლითურთ. ამ ოპერაციების დროს პარტიზანებმა მოსპეს 70-ზე მეტი ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

პარტიზანულმა რაზმმა, რომელსაც ამხ. გ. მეთაურობს, სექტემბერში ააფეთქა 14 ხიდი და დანაღმა პსკოვის რაიონის უმნიშვნელოვანესი გზატკეცილების 18 უბანი. ნაღმებს წააწყდნენ და აფეთქდნენ: გერმანელთა 4 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა და რამდენიმე სატვირთო ავტომანქანა საწვავითურთ. ჭაობიან ადგილზე გამავალ ვიწრო გზაზე პარტიზანები თავს დაესხნენ გერმანელ მოტოციკლისტთა რაზმს და დახოცეს 45 მოტოციკლისტი.

• • •

გერმანელი ფაშისტები დაპყრობილ რაიონებში ხოცავენ, ტერორს ქვეშ აყენებენ და ძარცვავენ მშვიდობიან მოსახლეობას. სმოლენსკის ოლქის სოფელ ბასმანოვოში ჰიტლერელებმა კოლმეურნეებს წაართვეს მთელი პირუტყვი და სურსათი, რაც კი ებადათ. ძარცვა-გლეჯას თან ახლდა მხეცური აბუჩადაგდება. მოხუც ვასილ პახომოვს წაართვეს 9 ფუთი ჭვავი, 3 გოჭი, ცხვარი, ორი ტყაპუჭი და 3 წყვილი ნაბდის ჩექმა. ყველაფერი ეს გერმანელმა ეფრეიტორმა ურემზე დატვირთა. ცხენი ახლო-მახლოს არ იყო. მაშინ ფაშისტმა ავაზაკმა პახომოვი და მისი მეუღლე შეაბა ურემში, რევოლვერით დაემუქრა და უბრძანა —ურემი ასეულის სამზარეულომდე მიიყვანეთო. ურემმა რამდენიმე ათეული მეტრი გაიარა და შეჩერდა. პახომოვსა და მის ცოლს აღარ შეეძლოთ სიარული. ეფრეიტორმა გლეხებს ცემა დაუწყო. პახომოვმა ვერ მოითმინა და ხელი ჰკრა გერმანელს. მაშინ ურემთან შეკრებილმა ფაშისტებმა იქვე აჰკუწეს პახომოვი, ხოლო მის სახლს ცეცხლი წაუკიდეს. გერმანელებმა მხეცურად აწამეს აგრეთვე კოლმეურნეობის გამგეობის წევრი ალექსი დემიდოვი. მას სცემეს მათრახით, კონდახით, ხოლო შემდეგ ხიშტით განგმირეს.

სმოლენსკის ოლქის სოფელ მოროზოვკიდან ვერ მოასწრო ევაკუირება 10 მეურნეობამ. ფაშისტებმა ისინი მთლიანად გააპარტახეს. გერმანელების ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ სოფელში არ დარჩენილა არცერთი ძროხა, არცერთი ქათამი და არც ნამცეცი პური.

• • •

უნგრეთის რკინიგზებზე უკანასკნელ ხანებში მკვეთრად გადიდდა კატასტროფებისა და ავარიების რიცხვი. მეტწილად კატასტროფა მოსდით იმ მატარებლებს, რომლებშიც იმყოფებიან აღმოსავლეთის ფრონტზე მიმავალი ჯარისკაცები ან რომლებიც დატვირთული არიან სხვადასხვა სამხედრო საჭურვლით. უნგრეთის ხელისუფალნი გულმოდგინედ ჰფარავენ ერთერთი დიდი სამხედრო ეშელონის კატასტროფის ფაქტს; ამ მატარებლით 600 ჯარისკაცი მიჰყავდათ მოქმედ არმიაში. კატასტროფა ღამით მოხდა. 20-ზე მეტი ვაგონი ასცდა ლიანდაგს. კატასტროფის მიზეზი არის რკინიგზის ლიანდაგის განზრახ გაფუჭება. ქალაქ ნირეძხაზასთან ერთმანეთს დაეჯახა ორი მატარებელი, რომლებსაც სამხედრო ტვირთი მიჰქონდათ. დაიმსხვრა 42 ვაგონი. ბევრი სამხედრო საჭურველი გაფუჭდა.

• • •

დღითიდღე იზრდებიან ლუნინელ საბჭოთა მუშების რიგები, რომლებიც სანიმუშოდ უვლიან მანქანებს, დაზგებს, აპარატებს და დამოუკიდებლად აწარმოებენ მთელ წვრილ რემონტს. შავი ზღვის ტანკერის „ი. სტალინის“ ეკიპაჟმა საკუთარი ძალებით გააკეთა ხომალდის საშუალო რემონტი. მათს მაგალითს მიჰბაძა ტანკერების „ემბასა“ და „ვარლამ ავანესოვის“ ეკიპაჟებმა. წარმატებით არემონტებენ გემებს კასპიის ზღვის ტანკერების „კაგანოვიჩის“, „ციურუპას“ და სხვათა ეკიპაჟები.

ომსკის რკინიგზის ტაიჩის დეპოს მემანქანეებმა ამხ. შჩეტინინმა, ვასილენკომ, პოსტალენკომ, ტიხონოვმა, ილინმა და ბევრმა სხვამ მოაწყეს ორთქლმავლების რემონტი გარეცხვის დროს. საუცხოო შედეგებს მიაღწიეს პეტროპავლოვსკის დეპოს ლუნინელებმა ამხ. ავდონინმა და კორნევმა. მათი ლოკომოტივები, უკანასკნელი თვეების განმავლობაში არცერთხელ არ დამდგარა საგადარბენათაშორისო რემონტზე. უფალისკის დისტანციის ლიანდაგის მეთვალყურემ ამხ. ბატნიომ თვითონ გამოსცვალა უვარგისი შპალები გზის თავის უბანზე. აქამდე ამას სპეციალური სარემონტო ბრიგადა აკეთებდა. კალინინის რკინიგზაზე ლუნინისებურად მუშაობს 280-ზე მეტი ლიანდაგის მეთვალყურე. რკინიგზის ტოროჟკის დისტანციის მეთვალყურეები ამხ. ხოლმუშკინი, დორონინი და პილაევი არემონტებენ შპალებს, სწმენდენ კიუვეტებს და თვით ასწორებენ შპალებს. ლუნინელმა რკინიგზელებმა სახელმწიფოს დაუზოგეს ასიათასობით მანეთი.

29 სექტემბრის საღამოს ცნობა

29 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ მედგარ ბრძოლებს მტერთან მთელ ფრონტზე.

დაზუსტებული ცნობებით 26 სექტემბერს მოსპობილია გერმანიის არა 98 თვითმფრინავი, არამედ 113 თვითმფრინავი.

27 სექტემბერს მოსპობილია გერმანიის 150 თვითმფრინავი, აქედან საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია 37 თვითმფრინავი და აეროდრომებზე მოსპობილია 113 თვითმფრინავი. ჩვენ 28 თვითმფრინავი დავკარგეთ.

დაზუსტებული ცნობებით სანაპირო ბატარეებისა და ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ხომალდების საერთო მოქმედებით ჩაძირულია არა 1 კრეისერი და 1 ნაღმოსანი, როგორც წინათ ვიუწყებოდით, არამედ 1 კრეისერი და 2 ნაღმოსანი.

• • •

ფრონტის ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით შვიდი დღის ბრძოლაში პოლკოვნიკ პოგოდინის სატანკო ნაწილმა დიდი ზარალი მიაყენა გერმანელთა ჯარებს. მტერმა 1.500 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ჩვენმა ტანკისტებმა მოსპეს მტრის 12 ტანკი, 2 შორსმსროლელი ქვემეხი, 2 საარტილერიო და 9 ნაღმსატყორცნი ბატარია, 36 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, დაზიანებულია და მწყობრიდან გამოყვანილია მტრის 14 საშუალო და პატარა ტანკი, 8 ტანკეტი, 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და 3 ნაღმსატყორცნი ბატარია.

ფრონტის ჩრდილო-დასავლეთი მიმართულების სხვა უბანზე მეთაურის ამხ. მუხავეცის ნაწილებმა განდევნეს გერმანელები პუნქტ ბ-დან. ამ პუნქტისათვის ბრძოლებში მტერმა 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა სახით. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ქვემეხი, 8 დაზგის ტყვიამფრქვევი, 500-მდე შაშხანა და ათეულ ათასობით ვაზნები.

ბატალიონის კომისარ კვიანკოვის ქვედანაყოფმა ხელთ იგდო მტრის სურსათით, საჭურვლითა და საომარი მასალებით დატვირთული 150 ავტომანქანა.

• • •

ჩვენი საბომბმზიდების (ყუმბარმშენების) ჯგუფმა, რომელიც ფრონტის ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით მოქმედებს, მოსპო გერმანელთა 10 ტანკი, 18 ქვემეხი, 12 ტყვიამფრქვევი, 56 სატვირთო ავტომანქანა და მტრის 200-მდე ჯარისკაცი.

• • •

26 სექტემბერს მაიორ სოკოლოვის ავიანაწილი თავს დაესხა მტრის დიდ აეროდრომს. თავდასხმის შედეგად მოსპობილია მტრის 28 თვითმფრინავი, მათგან 23 მიწაზე, 1 აფრენის დროს და 4 თვითმფრინავი საჰაერო ბრძოლებში.

• • •

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო 28 სექტემბრის საღამოს ცნობაში ვიუწყებოდით, რომ სანაპირო ბატარეებმა და ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ხომალდებმა ჩაძირეს მტრის 1 კრეისერი და 1 ნაღმოსანი და დააზიანეს 2 ნაღმოსანი. მიღებული დამატებითი ცნობებით ახლა გამორკვეულია, რომ ჩაძირულია მტრის არა 1 ნაღმოსანი, არამედ 2 ნაღმოსანი.

ვაქვეყნებთ ზოგიერთ მონაცემებს ჩაძირული გერმანული ხომალდების შესახებ.

გერმანიის კრეისერის წყალწყვა 6.000 ტონას შეადგენდა. კრეისერი შეიარაღებული იყო ცხრა 150-მილიმეტრიანი ქვემეხით, 14 საზენიტო ზარბაზნით, 4 საზენიტო ტყვიამფრქვევით და 12 სატორპედო აპარატით. კრეისერის მექანიზმების სიმძლავრე 65.000 ცხენის ძალას შეადგენდა. კრეისერის ეკიპაჟი 571 კაცისაგან შესდგებოდა.

გერმანიის ნაღმოსნების წყალწყვა რვაას-რვაას ტონას შეადგენდა. თვითეული ნაღმოსანი შეიარაღებული იყო სამი 105-მილიმეტრიანი, ორი 20-მილიმეტრიანი ქვემეხით და ექვსი სატორპედო აპარატით. თვითეული ნაღმოსნის მექანიზმების სიმძლავრე 25.000 ცხენის ძალას შეადგენდა. თვითეული ამ ხომალდის ეკიპაჟი 123 კაცისაგან შესდგებოდა.

• • •

დნეპროპეტროვსკის ოლქის იმ რაიონებში, რომლებიც ოკუპირებულია გერმანელების მიერ, დარჩენილი საბჭოთა პატრიოტები გაბედული მოქმედებით მტრის ზურგის დეზორგანიზაციას ახდენენ და დიდ ზარალს აყენებენ გერმანელთა ჯარებს. ამასწინათ პარტიზანთა ჯგუფი ამხ. ქ-ის რაზმიდან გვიან ღამით ფაშისტთა ტანკების სადგომთან მიცოცდა. ორი ტანკის მუხლუხოებ ქვეშ პარტიზანებმა შეუმჩნევლად ნაღმები დააწყეს და მიიმალნენ. განთიადისას, როდესაც ტანკები ადგილიდან დაიძრნენ, გაისმა აფეთქება. ტანკები მწყობრიდან გამოვიდნენ. მეორე დღეს პარტიზანთა ცხენოსანმა ჯგუფმა ფაშისტებს წაართვა სურსათით დატვირთული 2 ალალი და საველე ფოსტა. 20 სექტემბერს საღამოს ერთი მდინარის ნაპირს გერმანელთა ქვეითი ჯარის ასეული მოადგა. გერმანელები ჩქარობდნენ მეორე ნაპირზე გადმოსვლას, მაგრამ ხიდი დანგრეული აღმოჩნდა. მაშინ საბჭოთა პატრიოტი ამხ. შ. გერმანელ ოფიცერთან მივიდა და განუცხადა, რომ უჩვენებდა გზას მეორე ხიდისკენ, რომელიც 8 კილომეტრის მანძილზე იყო. ოფიცერმა გამოჰკითხა სხვა მცხოვრებლებს, დააზუსტა გზა და წაიყვანა ასეული ნაჩვენები მიმართულებით. ამ დროს მეორე საბჭოთა პატრიოტი ამხ. რ. ცხენს მოახტა და ფარული ბილიკებით გაეშურა პარტიზანული რაზმის მეთაურთან. პარტიზანთა რაზმი ხიდის ახლოს ჩასაფრდა. როდესაც გერმანელთა ასეული მოახლოვდა, მას ტყვიამფრქვევისა და შაშხანის სროლა აუტეხეს. გაიმართა სროლა, რომელმაც გათენებამდე გასტანა. ბრძოლის შედეგად გერმანელებმა 20-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

• • •

ბერსალიერთა მე-3 პოლკის მე-18 ბატალიონის მე-2 ასეულის იტალიელმა ჯარისკაცებმა ფრალ სევერინომ და პიედრო მარლინიმ, რომლებიც ერთერთ ჩვენს ნაწილს ტყვედ დანებდნენ შემდეგი წერილით მიმართეს თავისი ასეულის ჯარისკაცებს: „ამხანაგო ჯარისკაცებო! ჩვენ, მადლობა ღმერთს, ცოცხლები ვართ და კარგადაც ვართ, იმედი გვაქვს, რომ ომის შემდეგ ჩვენს იტალიაში დავბრუნდებით. ჩვენთვის ომი გათავდა. ჩვენ გავალთ სამუშაოდ და ვიშრომებთ ისეთსავე მუშებსა და გლეხებს შორის, როგორიც ჩვენ ვართ. ის, რასაც ჩვენ გვიუბნებოდნენ, რუსები ტყვეებს აწამებენ და ხვრეტენო, სიცრუეა. ასეთი სიცრუით გაგვაბრიყვეს და დასახოცავად მოგვერეკებიან როგორც პირუტყვს. ჯარისკაცებო! ის, რაც ჩვენ აქ ვნახეთ, ამტკიცებს წითელი არმიის, ავიაციისა და არტილერიის ძალას. რუსი ჯარისკაცები, რომლებსაც მხარს უჭერს მთელი ხალხი, გმირულად იბრძვიან. მათ მხარს უჭერს ინგლისელი ხალხი და ამერიკის შეერთებული შტატების ინდუსტრია. ჩვენ მოგვერეკებიან, რომ დავიხოცოთ წითელი არმიის ყუმბარებითა და ტყვიებით, ჰიტლერის საამებლად და იტალიის იმ ხელმძღვანელთა სასიხარულოთ, რომლებიც ჰიტლერს მიეყიდნენ. რისთვის ვომობთ ჩვენ რუსი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ? ჩვენი სიცოცხლე საჭიროა ჩვენი დედმამისა და ცოლშვილისათვის, რომლებსაც სურთ ჯანსაღნი და უვნებელნი გვნახონ. ჯარისკაცებო! მიბაძეთ ჩვენს მაგალითს: დაჰყარეთ იარაღი და დანებდით ტყვედ! ფრალ სევერინო და პიედრო მარლინი“.

• • •

რომ ოდნავ მაინც შეავსოს სურსათის მწვავე ნაკლებობა, ჰიტლერი მოურიდებლად სძარცვავს თავის მოკავშირეებს. იტალიის ბევრ სასოფლო-სამეურნეო რაიონში გერმანელებმა თითქმის მთელი სურსათი წაიღეს. იტალიელი ხალხი შიმშილობს. ამ დღეებში ჰიტლერმა კვლავ მოსთხოვა მუსოლინის მარცვლეულის დიდი პარტიის მიწოდება. ამასთან დაკავშირებით იტალიის მინისტრთა საბჭომ მუსოლინის დაჟინებითი მოთხოვნით შეამცირა მოსახლეობაზე ბარათებით პურის გაცემა დღეში 200 გრამამდე თითო კაცზე. იტალიელი ხალხი შიშით მოელის მშიერი ზამთრის დადგომას.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

მეტყვიამფრქვეველთა ოცეულის მეთაური ლეიტენანტი არჩილ ჯორჯაძე

გურჯაანი („კომუნისტის“ კორ.). სოფ. გურჯაანში მცხოვრებმა არჩილ ჯორჯაძემ 1936 წელს ფრიადზე დაამთავრა გურჯაანის პედტექნიკუმი, რის შემდეგ შევიდა ბათუმის ორწლიან სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1938 წელს. განათლების სახალხო კომისარიატმა ა. ჯორჯაძე სოფ. ჯიმითის არასრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ და ფიზიკის მასწავლებლად დანიშნა. 1939 წელს არჩილი წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს და ჩარიცხეს მეტყვიამფრქვეველთა ნაწილში.

არჩილმა ბეჯითად მოჰკიდა ხელი სამხედრო ტექნიკის შესწავლას. იგი, როგორც სამხედრო საქმის ფრიადოსანი, სარდლობამ სამჯერ დაასაჩუქრა და მადლობა გამოუცხადა, მუშურ-გლეხური წითელი არმიის XXII წლისთავთან დაკავშირებით კი დაჯილდოებულ იქნა სიგელით.

საბჭოთა კავშირზე გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის თავდასხმის დღიდანვე ლეიტენანტ ჯორჯაძის მეტყვიამფრქვეველთა ოცეული გმირულად ებრძვის მტერს. მის მიერ ცოლისადმი მოწერილი წერილები აღსავსეა ღრმა პატრიოტიზმით, სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულითა და თავდადებით, მტერზე საბოლოო გამარჯვების რწმენით. „გალინა! ჩემი ტყვიამფრქვევი დაუშრეტელია და დაუნდობლად სცემს პირსისხლიან გერმანელებს,—ნათქვამია წერილში.—მე კარგად ვარ. მალე გავანადგურებთ გერმანელთა ურდოებს და გამარჯვებული დავბრუნდები. მოკითხვა გადაეცი ყველა ნაცნობ-მეგობრებს, საყვარელ დედას, ვკოცნი პატარა კკულის“.

ჯორჯაძის ოცეული ოთხჯერ მოჰყვა კაციჭამია ჰიტლერელთა გარშემორტყმაში. ფაშისტებს უნდოდათ მათი ცოცხლად ჩაგდება ხელში, მაგრამ მამაცმა მეტყვიამფრქვეველებმა ოთხჯერვე მოსცელეს ბაქია გერმანელები. „გერმანელთა უკანასკნელი გარშემორტყმიდან,—სწერს ა. ჯორჯაძე,—ტყვედ წამოვიყვანეთ გერმანელთა 3 მოტოციკლისტი და ხელთ ვიგდეთ ერთი ავტომანქანა, ამის გამო არმიის სარდლობამ ჯილდოზე წარმადგინა. იცოდე, ჩემო გალინა, რომ მტერს არასდროს არ ჩავუვარდები ხელში“.

გალინაც პატრიოტულ და ვერაგი მტრისადმი სიძულვილით გამსჭვალულ წერილებს სწერს მამაც მეტყვიამფრქვეველთა ოცეულის მეთაურს.

„დაუნდობლად ანადგურე მტერი, გამარჯვება ჩვენია. ჩვენ კი აქ მტერზე გამარჯვებას გმირულ შრომაში ვჭედავთ. ჩვენი სკოლის მასწავლებელთა კოლექტივი ზაფხულის დღეებში კოლმეურნეობებს აქტიურად დაეხმარა უხვი მოსავლის აღებაში. მათი დახმარებით ჩვენი სოფლის კოლმეურნეობებმა მოსავალი 10 დღეში აიღეს. სკოლაში სასწავლო წელი წარმატებით დავიწყეთ და სწავლა ნორმალურად მიმდინარეობს. გისურვებ მტერზე გამარჯვებას“.

ძ. ტალიაშვილი

ბელადის სახელობის მაღარომ წლიური გეგმა შეასრულა

ტყიბული („კომუნისტის“ კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს მუშათა კოლექტივი სამამულო ომის დღეებში მეომრის თავდადებით იბრძვის მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისათვის. ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა მაღარომ ვადამდე—27 სექტემბრისათვის შეასრულა.

წლიური გეგმის შესრულების გამო 27 სექტემბერს პირველი ცვლის მუშაობის დამთავრების შემდეგ, მაღაროელთა კლუბში ჩატარდა მაღაროს მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელზეც 1941 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებისა და ახალი საბრძოლო ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა მაღაროს გამგე ამხ. აკაკი ქუბლაშვილი.

მოხსენების გამო სიტყვით პირველი გამოვიდა მოწინავე უბნის უფროსი პახუმ ნანიკაშვილი.

— ამხანაგო მაღაროელებო, — ამბობს ის,—მტრის ურდოების გასანადგურებლად ჩვენი სამშობლო მოითხოვს უფრო მეტი და მაღალი ხარისხის ქვანახშირს. მართალია, ჩვენს უბანს დღეისათვის გადაჭარბებით აქვს შესრულებული ქვანახშირის ამოღების წლიური დავალება, მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენ გეგმის გადაჭარბებით მრავალი ათეული ტონა ქვანახშირი უნდა ამოვიღოთ კიდევ წლის ბოლომდე.

— ჩემს ბრიგადაში,—ამბობს ბრიგადირი ალექსანდრე პეტილინი,—ომამდე 30 კაცი მუშაობდა და 250-300 ტონა ქვანახშირი იტვირთებოდა, ახლა 15 კაცი 400 ტონაზე მეტს ვტვირთავთ ყოველდღიურად. ორას პროცენტზე ნაკლებად არცერთი მუშა არ ასრულებს გეგმას ბრიგადაში.

კრებაზე გეგმების ორმაგად და სამმაგად შესრულების ვალდებულება იკისრეს მაღაროელებმა: ესტატე ობოლაძემ, სპირიდონ ლანჩავამ, ქსენოფონტე ბეშკენაძემ და ვანო ღვინეფაძემ.

გამარჯვებული მაღაროს მუშათა კოლექტივის ახალ საბრძოლო ამოცანებზე ილაპარაკეს აგრეთვე ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ირაკლი მაღალაშვილმა და პარტრაიკომის მდივანმა შოთა ჭანუყვაძემ დასასრულ კრებამ მიმართა საქართველოს ყველა მაღაროელს მოწოდებით უზრუნველყონ სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულება.

დ. საბელაშვილი

ხვალ იწყება საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლება

სამხედრო საქმის შემსწავლელთა დასახმარებლად

შაშხანა მებრძოლის ძირითადი იარაღია

თანამედროვე სახმელეთო ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასროლო იარაღს. მისი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის დაზიანება. სასროლო იარაღი აიძულებს მოწინააღმდეგეს თავი დაიფაროს ტყვიისაგან და მიწას გაეკრას, ამით ასუსტებს მისი ცეცხლის მოქმედებას, არევ-დარევა შეაქვს მის რიგებში, როგორც შეტევის, ისე თავდაცვის დროს.

სასროლო იარაღის ყველაზე გავრცელებული სახე, რომელიც ფართოდ არის გამოყენებული, არის შაშხანა. სწორედ ამიტომ სამხედრო სწავლების ჟამს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შაშხანის დაუფლებას.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩვენს რუსულ შაშხანას 50 წელი შეუსრულდა. ამ ხნის განმავლობაში როგორც ჩვენს არმიაში, ისე სხვა არმიებში გამოგონილ და კონსტრუირებულ იქნა სასროლო იარაღის უდრიესად მრავალნაირი ნიმუშები. გაჩნდა ტყვიამფრქვევები — დაზგის, ხელის ტყვიამფრქვევები, დამბაჩა-ტყვიამფრქვევები, ავტომატური შაშხანები. მაგრამ ამ იარაღმა ვერ განდევნა კოლოფიანი შაშხანა. იგი ყველა არმიაში დარჩა ქვეითი ჯარისა და კავალერიის ძირითად იარაღად.

ჩვენი შაშხანა კონსტრუირებულია 1891 წელს ნიჭიერი რუსი გამომგონებლის პოლკოვნიკ მოსინის მიერ. თავისი არსებობის 50 წლის განმავლობაში მან მხოლოდ უმნიშვნელო კონსტრუქციული ცვლილებები განიცადა (კორის მოწყობილობა, ხიშტის სამაგრი).

ყველა არმიების კოლოფიან შაშხანებს შორის ჩვენი რუსული შაშხანა გამოირჩევა თავისი მოწყობილობის სიმარტივით, ბრძოლაში შეუფერხებლობით, სწრაფმსროლელობითა და განსაკუთრებული სიზუსტით. 1891-1930 წწ. ნიმუშის შაშხანა (იხ. ნახატი) არა მარტო მარტივია თავისი მოწყობილობით, არამედ საკმაოდ მსუბუქიც არის: მისი წონა ხიშტიანად სულ დაახლოებით 4,5 კილოგრამს უდრის. იგი მკვიდრია და მუდამ მზად არის როგორც ცეცხლით, ისე ხიშტით მოქმედებისათვის.



შაშხანას აქვს სავაზნე კოლოფი, რომელშიც 4 ვაზნა თავსდება, და ერთი ვაზნა სავაზნეში. ყოველი გასროლის შემდეგ საკეტის გახსნისას დაცლილი მასრა ავტომატურად გარეთ ვარდება; ახალ ვაზნას განსაკუთრებული ზამბარა სავაზნე კოლოფიდან მაღლა აწევს, ხოლო ვაზნა ლულაში შედის, როდესაც საკეტი იხურება. ასეთი მოწყობილობა საშუალებას აძლევს კარგ, გამოცდილ მსროლელს 10-12 გასროლა მოახდინოს ერთი წუთის განმავლობაში.

შაშხანის უდიდეს ღირსებას წარმოადგენს მისი ცეცხლის ფენილობა, რის მეოხებითაც 400 მეტრზე სროლისას ტყვია თავისი სვლის მთელ მანძილზე აზიანებს მწოლარე მიზანს, ხოლო 700 მეტრამდე — ადამიანის სიმაღლის მიზანს. შაშხანის სიზუსტე ისეთია, რომ კარგი მსროლელი აუცდენლად აბვედრებს მტერს, თუ მან საფარიდან თავი ამოჰყო, 200-მდე მეტრ მანძილზე, მწოლარე ან ხოხვით მიმავალ მოწინააღმდეგეს—300 მეტრამდე, ხოლო გადარბენით მიმავალს—400 მეტრამდე მანძილზე. ერთი წუთის განმავლობაში კარგ მსროლელს შეუძლია 5-8 კაცის მოსპობა.

ჰიტლერელთა ურდოებთან ბრძოლებში საბჭოთა მეომრები, რომლებიც კარგად დაუფლებული არიან შაშხანას, ხშირად სერიოზულ ზარალს აყენებდნენ მტერს. ფრონტის ერთერთ უბანზე შეტევაზე მოდიოდა გერმანიის ქვეითი ჯარი ტანკების დახმარებით; ამ უბანს სახალხო ლაშქრის პოლკი იცავდა. მოლაშქრეებმა ფაშისტთა ტანკები წინ გაუშვეს, სროლა აუტეხეს მათ უკან მიმავალ ქვეითს ჯარს და მოიგერიეს მისი იერიში. ამასთან მოლაშქრე ვასილიევმა თავისი შაშხანის ზუსტი სროლით 14 ფაშისტი ჯარისკაცი მოსპო.

შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი მაგალითი, თუ როგორ სპობდნენ ცალკეული მსროლელები ერთ ბრძოლაში მტრის რამდენიმე ათეულ მეომარს. კარგად შენიღბულ მსროლელს შაშხანის მარჯვე სროლით შეუძლია დიდი ზარალი მიაყენოს მტერს.

მტერს ზიანს აყენებს ტყვია. ჩვეულებრივი ტყვია ძლიერი გამგმირავი მოქმედებისაა. უნდა გვახსოვდეს, რომ ტყვია ხვრეტს 30 სანტიმეტრის სისქე აგურის კედელს, 70 სანტიმეტრის სისქე ქვიშის ფენას, 100 სანტიმეტრის სისქე თიხის ფენას, 140 სანტიმეტრის სისქე შამიწის ფენას, 150 სანტიმეტრის სისქე ფიჩხის ნაფენს, 350 სანტიმეტრის სისქე დატკეპნილ და 450 სანტიმეტრის სისქე ფხვიერ თოვლს, 425 სანტიმეტრის სისქე ჩალის ფენას.

ჩვეულებრივ ტყვიებთან ერთად არსებობს ჯავშანსახვრეტი ტყვიები. 400-მდე მეტრი მანძილიდან ჯავშანსახვრეტ ტყვიას შეუძლია 7 მილიმეტრი ჯავშნის გახვრეტა. ეს ტყვიები იხმარება შეჯავშნული მიზნების წინააღმდეგ, აგრეთვე იმ მიზნების წინააღმდეგ, რომლებიც დაფარულია ფოლადის ფარებით, მაგალითად, ქვემეხების, დაზგის ტყვიამფრქვევების წინააღმდეგ. არის კიდევ ცეცხლწამკიდი ტყვიები, რომლებიც იხმარება სახურავებისათვის, ავტომანქანებისათვის და სხვ. ცეცხლის წასაკიდებლად.

შაშხანის ტყვია აზიანებს მტრის არა მარტო ცოცხალ ძალას, ტყვიებით შეიძლება თვითმფრინავის ჩამოგდება, მწყობრიდან ავტომანქანის, მოტოციკლის გამოყვანა, ცისტერნის მოსპობა. ჯავშანსახვრეტი ტყვიებით სროლისას შეიძლება მწყობრიდან გამოიყვანო ან შეაჩერო ჯავშნიანი მანქანა, ტანკეტი და ზოგიერთი ტიპის მსუბუქი ტანკები.

ლენინგრადის მისადგომებზე № ნაწილის მე-2 ბატალიონის მსროლელმა წითელარმიელმა მაკაროვმა მიწას მიაჭედა არაერთი ათეული ფაშისტი ბანდიტი და ჩამოაგდო მფრინავი, რომელიც „მესერშმიტს" მართავდა. უფროს ლეიტენანტ სავუშკინის ოთხმა სნაიპერმა მოწინააღმდეგის სამი თვითმფრინავი ჩამოაგდო. ომის ორი თვის განმავლობაში ამ ასეულის მებრძოლებმა ფაშისტთა შვიდი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

თავისი სიმსუბუქის მეოხებით შაშხანა ხელს არ უშლის ცურვის მცოდნე მსროლელს წყლის ზღუდის გადალახვაში. სადაც კაცის გავლა შეიძლება, იქ შაშხანიანი მსროლელიც გაივლის.

სხვა ნიმუშებთან შედარებით ჩვენს შაშხანას აქვს მეტად მოხერხებული კომბინაცია სასროლო იარაღისა ცივ იარაღთან, რაც საშუალებას აძლევს მსროლელს ანადგუროს მტერი ტყვიით, ხიშტითა და კონდახით. ცნობილია, რომ მტერი წითელი არმიის ხიშტით იერიშებს ვერ უძლებს.

ასე, მაგალითად, დასავლეთი მიმართულების № უბანზე ხიშტით გაბედული იერიშით ლეიტენანტ ზოტოვის ოცეულის წითელარმიელებმა მთლიანად მოსპეს ფაშისტთა ასეული.

ჩრდილო - დასავლეთი მიმართულებით მებრძოლთა ჯგუფი სერჟანტ იაბლოკოვის მეთაურობით ზურგში მოექცა გერმანელთა ტყვიამფრქვევის ბატარეას. წითელარმიელები მოულოდნელად დაესხნენ თავს ფაშისტებს, ხიშტებით განგმირეს 18 გერმანელი ჯარისკაცი და ხელთ იგდეს ექვსი ტყვიამფრქვევი.

ბრძოლის დროს მძიმედ დაჭრილ პოლიტხელ ბროვცევს თავს დაესხა ხუთი ფაშისტი ჯარისკაცი. წითელარმიელი ნიკანოროვი პოლიტხელის დასახმარებლად გაეშურა. მტრის ერთი ჯარისკაცი მან შაშხანის სროლით დასცა, დანარჩენი ოთხი კი ხიშტით განგმირა.

შაშხანა უბადლო იარაღია ღამით ბრძოლაში. იგი ხელს არ უშლის მსროლელს უხმაუროდ მიცოცდეს მტერთან და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს მას. ფრონტის ერთერთ უბანზე ფაშისტთა რჩეული ნაწილები რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდნენ გაერღვიათ ჩვენი თავდაცვა, რათა გამოსულიყვნენ ერთერთ უმნიშვნელოვანეს კომუნიკაციაზე. განუწყვეტელი გაფთრებული იერიშების შემდეგ ისინი ზოგჯერ ახერხებდნენ შევიწროებინათ მაიორ შიტოვის პოლკი, რომელიც იქ თავს იცავდა. მაგრამ დაღამდებოდა თუ არა, პოლკი კონტრიერიშზე გადადიოდა, მტერს ხიშტით ეკვეთებოდა, და ყოველივე იმას, რასაც გერმანელები დღისით აღწევდნენ, ისინი ღამით კვლავ ჰკარგავდნენ. ფაშისტები ყოველთვის გაურბოდნენ ხიშტით კვეთებას, მათი განზრახვა ჩაიფუშა.

ხელჩართულ ბრძოლაში, როდესაც მტერს ხიშტით ვერ მისწვდები, შაშხანა შესაძლებელს ხდის განგმირო მტერი „გრძელი ხიშტით" ე. ი. მოკლე მანძილზე სროლით, ამასთან ხიშტი სრულებით არ უშლის ზუსტ სროლას.

თოფის ცეცხლი ყველაზე უფრო ხელსაყრელია გამოყენებულ იქნას ახლო დისტანციებზე. ამ შემთხვევებში თვითეული მსროლელი აწარმოებს ერთეულ სროლას დამოუკიდებლად ამორჩეული ან მისთვის დანიშნული მიზნის წინააღმდეგ. შორეული მიზნების წინააღმდეგ უფრო ხელსაყრელია ვაწარმოოთ შეჯგუფებული სროლა მსროლელთა ჯგუფის საშუალებით, რომლებსაც მეთაური ხელმძღვანელობს. ცალკეული, მაგრამ შორ მანძილზე მყოფი, კარგად შენიღბული და ძნელად დასანახი მიზნების დასაზიანებლად იხმარება შაშხანა ოპტიკური კორით. ეს იგივე შაშხანაა, მხოლოდ ჩვეულებრივი კორის ნაცვლად მას აქვს ხელსაწყო-კორა. ეს შაშხანა შესაძლებელს ხდის ზუსტ სროლას ტანკებისა და ჯავშნიანი მანქანების სათვალთვალოებისა და პერისკოპების წინააღმდეგ. ოპტიკური კორის მეოხებით შაშხანის ცეცხლის სიშორე 800 მეტრამდე მატულობს და საშუალებას აძლევს მსროლელს ბინდ-ბუნდში აწარმოოს სროლა 400 მეტრამდე.

შაშხანა მოვლას საჭიროებს. მებრძოლი მას ჯეროვანი წესრიგით უნდა ინახავდეს და კარგად იცნობდეს. მაგალითად, მეტად მნიშვნელოვანია მისი სწრაფად დაშლისა და აწყობის ცოდნა.

შაშხანის დაშლისას ჯერ უნდა მოვხსნათ ხიშტი, შემდეგ გამოვიღოთ საკეტი, ზუმბა, მოვხსნათ თოფისხის ზედა და ქვედა რგოლები, მოვხსნათ ლულის საფარი, ამოვხრახნოთ საბრჯენის ხრახნი და კუდის ხრახნი, მოვაცილოთ თოფისხეს ლულა და სავაზნე კოლოფი, გამოვიღოთ სავაზნე კოლოფიდან მიმწოდებელი მექანიზმი და, ბოლოს, დავშალოთ საკეტი. საკეტის დასაშლელად უნდა ავიღოთ ის მარცხენა ხელში, მარჯვენა ხელის თითებით მივაბრუნოთ ჩახმახი მარცხნისაკენ, მოვაცილოთ შემაერთებელი და საბრძოლო თასა, შემდეგ კი მოვაბრუნოთ ჩახმახი დამცემისაგან და მოვხსნათ დამცემს ნემსკავა.

შაშხანისა და საკეტის ნაწილები გულმოდგინედ უნდა გავწმინდოთ, დავზეთოთ და შაშხანა კვლავ ავაწყოთ.

ყოველ საბჭოთა მოქალაქეს შეუძლია სწრაფად შეისწავლოს შაშხანა, გახდეს ჩინებული მსროლელი და ჩვენი სამშობლოს დამცველთა რიგებში მებრძოლი.

პოდპოლკოვნიკი ი. ჩესნოკოვი
(„პრავდა", 22/IX).

მზადება ჩხარის რაიონში

ჩხარი („კომუნისტის" სპეც. კორ.). რაიონში წარმატებით მიმდინარეობს საყოველთაო სამხედრო სწავლებისათვის მზადება. ორგანიზაციული მუშაობა ადგილებზე ოცეულთა ჩამოსაყალიბებლად დამთავრებულია.

29 სექტემბერს მოეწყო სოფლის საბჭოების მდივნების თათბირი. აქ უკვე დააზუსტეს სიები, შეარჩიეს სამეცადინო ადგილები და განსაზღვრეს მეცადინეობის საათები. ინსტრუქტორ მეთაურებით უზრუნველყოფილი არიან.

საყოველთაო სამხედრო სწავლების დაწყებას მოსახლეობა დიდი აღფრთოვანებით ხვდება. წვევამდელები და რაიონის სხვა მშრომელები თვითონ მოდიან სოფლის საბჭოებში და ამოწმებენ არიან თუ არა შეტანილი ისინი სამხედრო სწავლებაში ჩაბმულთა სიებში.

დ. ლომთაძე

> ამჟამად, როდესაც ჩვენს ქვეყანას თავს დასტრიალებს სერიოზული საფრთხე, როდესაც ფაშისტ მტარვალებს სიკვდილი და ნგრევა მოაქვთ, ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა კვლავ მოუწოდებენ ყველა საბჭოთა ადამიანს, რომელსაც კი იარაღის ხმარების უნარი აქვს, დაეუფლოს ამ იარაღს, რათა მოსისხლე მტრისაგან დაიცვას თავისი სამშობლო, რათა მიაღწიოს სრულ გამარჯვებას მტერზე.
>
> „პრავდა"

მომზადებული ხვდებიან საყოველთაო სამხედრო სწავლების დაწყებას

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებას სსრ კავშირის მოქალაქეთა სამხედრო საქმის საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობა აქვს. ითვალისწინებდა რა ამას, თბილისის სტალინის რაიონის სამხედრო კომისარიატმა თავისი მუშაობის ყურადღების ცენტრში დააყენა ამ დადგენილების პრაქტიკულად განხორციელების ორგანიზაცია.

დადგენილების გამოქვეყნების მეორე დღესვე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომში მოწვეულ იქნა საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების რაიონული თათბირი, რომელზეც დამსწრეებს განემარტათ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების უდიდესი მნიშვნელობა და მიეცათ პრაქტიკული მითითებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარემართათ ადგილებზე მუშაობა.

გარდა ამისა, რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ გამოყოფილი აქტივისა და ადგილობრივ მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში სპეციალური პირების საშუალებით უკვე დამთავრებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლებაში ჩასაბმელი კონტინგენტის აღრიცხვა.

საწარმო-დაწესებულებებში გამოყოფილია მეცადინეობისათვის ვარგისი შენობები და ბაზები, გამონახული და აღრიცხულია აგრეთვე სასწავლო ინვენტარი: თოფები, ხელყუმბარები, წერაქვები, ცულები, ნიჩბები და სხვ.

ამავე დროს შერჩეული და დამტკიცებული არიან კვალიფიციური კადრები მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობისათვის. რაიონის სამხედრო კომისარიატთან შექმნილია სამხედრო სწავლების ინსტრუქტორთა ჯგუფი 3 კაცის შემადგენლობით.

ჩვენ ყველა საჭირო ზომა მივიღეთ, ყველა დეტალი გავითვალისწინეთ,—იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ და ნორმალურად დავიწყოთ მუშაობა 1-ლ ოქტომბერს ისე, როგორც ამას თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება გვიკარნახებს. ჩვენ მოვუმზადებთ სახელოვან მშობლიურ წითელ არმიას გაწრთვნილ რეზერვებს, ბრძოლისუნარიან შევსებას, ადამიანებს, რომლებიც საკუთარი მკერდით დაიცავენ სოციალისტურ სამშობლოს, გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემენ პირსისხლიან ჰიტლერელ ყაჩაღებს.

ქ. ბაღათურია
ქ. თბილისის სტალინის რაიონის სამხედრო კომისარი, ბატალიონის კომისარი.

გულმოდგინედ შევისწავლოთ სამხედრო ხელოვნება

სამ თვეზე მეტია, რაც გმირული წითელი არმია დიდ სამამულო ომს აწარმოებს ვერაგ და ავაზაკ მტერთან. ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ წითელ არმიასთან ერთად აღსდგა მთელი საბჭოთა ხალხი. საბჭოთა პატრიოტები ბეჯითად სწავლობენ სამხედრო საქმეს. მაგრამ თანამედროვე ომი მოითხოვს კვალიფიციურ მეომრებს, რომლებსაც დიდი სამხედრო ცოდნა მოეპოვებათ. ამიტომ განუზომელი სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებას სსრ კავშირის მოქალაქეთა სამხედრო საქმის საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ.

საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლება ხვალ, 1 ოქტომბერს, იწყება. როგორ მოვემზადეთ სამხედრო სწავლების დაწყებისათვის?

წინასწარ შევარჩიეთ გამოცდილი სამხედრო ინსტრუქტორები, რომლებიც უხელმძღვანელებენ სამხედრო სწავლების საქმეს. ამ დღეებში მოვიწვიეთ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების და სპეცგანყოფილებათა გამგეების თათბირი, რომელზეც მათ მიეცათ ახსნა-განმარტება და დაწვრილებითი ინსტრუქცია, თუ ვინ უნდა ჩაებას საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლებაში.

უკვე დაზუსტებულია 1923 წელს დაბადებული ახალგაზრდების სია. დღეს, დილით ვატარებთ მათ შეკრებას. აქვე დავანაწილებთ მათ ათეულებად და ოცეულებად. 30 სექტემბერსვე საღამოს ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კლუბში ვატარებთ 38-45 წლის ასაკის მეორე თანრიგის სამხედრო ვალდებულთა შეკრებას. აქაც მოხდება მათი დაკომპლექტება ქვედანაყოფებად. ჩვენს რაიონში შეიქმნება წვევამდელთა ერთი ასეული. ერთი ასეული შეიქმნება აგრეთვე დანარჩენ სამხედრო ვალდებულთაგან. ყველაფერს ისე ვაწყობთ, რომ ამხანაგები სწავლობდნენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, და ხელი არ შეეშალოს საწარმო-დაწესებულების მუშაობას.

უკვე შევარჩიეთ გამოცდილი, მომზადებული მეთაურები. მათთვის სპეციალურად ჩავატარეთ ინსტრუქტაჟი. მეთაურთა შემადგენლობის შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ, რადგან ძირითადად მათზეა დამოკიდებული სწავლების ხარისხი.

ხვალ იწყება საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო სწავლება. ჩვენი რაიონი მომზადებული ხვდება ამ დიდი მნიშვნელობის საქმეს.

გ. კიკვაძე
ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სამხედრო კომისარი, ბატალიონის კომისარი.

მეცადინეობისათვის მზად არიან

როგორც კი გამოქვეყნდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება სსრ კავშირის მოქალაქეთა სამხედრო საქმის საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ, თბილისის ბერიას სახელობის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მაშინვე შეუდგნენ სათანადო მოსამზადებელ მუშაობას.

— საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების ორგანიზებულად დაწყებისა და ჩატარებისათვის მზადება დროულად დავიწყეთ, — განაცხადა ბერიას რაიონის სამხედრო კომისარმა ამხ. ღლონტმა. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომმა მოიწვია საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და პარტორგანიზაციების მდივნების თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება; თათბირის მონაწილეებს გავაცანით აგრეთვე ის ღონისძიებანი, რომლების გატარებაც საჭიროა სამხედრო სწავლების ნორმალურად წარმოებისათვის. უკვე შერჩეული გვყავს ინსტრუქტორთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სათანადოდ მომზადებული კადრები. რაიონის საწარმო-დაწესებულებების მიხედვით შედგენილია იმ პირების სია, რომლებმაც საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლება უნდა გაიარონ. გამოყოფილ იქნა და ახლა მზად არის ადგილები, ბაზები, სადაც იწარმოებს მეცადინეობა. მზად გვაქვს აგრეთვე მეცადინეობისათვის საჭირო სამხედრო იარაღი და სხვ.

ხვალ, პირველ ოქტომბერს, სავალდებულო სამხედრო სწავლება იწყება. ბერიას რაიონი მზად არის მეცადინეობის დაწყებისათვის.

თბილისის რკინიგზის კვანძის პარტკომის მდივანი ამხ. კლ. მანჩხავა (მარჯვნივ) ესაუბრება აგიტატორებს ალ. მეიფარიანს (კონდუქტორთა მარქაფი), შ. კუზმინს (უშიშროების აპარატი), მ. მიქაძეს (სამატარებლო ოსტატების საამქრო), დ. მარგიშიას (სახალხო სადგური) საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების შესახებ.

ფოტო რ. აკოფოვისა

ორგანიზებულად მოვაწყოთ მშრომელთა სამხედრო სწავლება

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებამ 1 ოქტომბრიდან საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების დაწყების შესახებ მშრომელთა არნახული აღფრთოვანება და ენტუზიაზმი გამოიწვია.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი ღონისძიება — საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლება უნდა ჩავატაროთ მაღალი ორგანიზებულობით, ყოველმხრივ მომზადებულად, ნამდვილი სამხედრო დისციპლინის საფუძველზე. მთელი წინასწარი მუშაობა ისე უნდა იქნას მოწყობილი, რომ მან უზრუნველჰყოს სწავლების მაღალი ხარისხი, პროგრამით გათვალისწინებული მთელი კურსის წარმატებით გავლა.

თბილისის ლენინის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა ძირითადად უკვე დაამთავრეს მოსამზადებელი მუშაობა 1-ლი ოქტომბრისათვის საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების დასაწყებად. პარტრაიკომში ორჯერ ჩატარდა საწარმოთა დირექტორების, პარტბიუროს მდივნებისა და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა თათბირი. მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაჩაღდა მოსახლეობაშიც. ამჟამად უკვე დაზუსტებულია იმ პირთა სიები, რომლებმაც უნდა გაიარონ სამხედრო სწავლების 110-საათიანი პროგრამა.

განსაკუთრებული გულმოდგინებით შევარჩიეთ მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შემადგენლობა. ამ სამუშაოზე წამოვაყენეთ პრაქტიკულ მუშაობაში გამოცდილი და შემოწმებული ამხანაგები, რომელთა უმრავლესობას წითელ არმიაში გაუვლია სამხედრო წრთობა. მათ შორის არიან უფროსი ლეიტენანტი ამხ. დეკანოზოვი, რომელიც საელმავლო დეპოში პარტბიუროს მდივნად მუშაობს, ბატალიონის ყოფილი კომისარი თოფურია, ხახანიანი და სხვ. მოვაწყეთ სამეთაურო სწავლება, რომელსაც მეთაური-ინსტრუქტორები ატარებენ.

რაიონის მოწინავე საწარმოებს —სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას, საორთქლმავლო დეპოს, ავტოსარემონტო ქარხანას, 26 კომისრის სახელობის ქარხანას და სხვ. კვალიფიციურ მეთაურთა შესანიშნავი კადრი აღმოაჩნდათ. საორთქლმავლო დეპოში მეთაურთა შორის ითვლებიან პარტიის წევრები, სტახანოველი ლუნინელი მემანქანეები ამხ. სუხიშვილი, სერგეევი, კოვალი, მემანქანის თანაშემწეები მამისაშვილი და ზგურსკი. ეს ამხანაგები მსახურობდნენ წითელ არმიაში და მიღებული აქვთ სამხედრო სპეციალობანი.

საყოველთაო სამხედრო სწავლების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამეცადინო ადგილების გამონახვას, ცალკეული საწარმოებისათვის სამეცადინო საათების დადგენას და სწავლებაში ჩაბმულ ამხანაგთა უზრუნველყოფას მატერიალური საშუალებებით. ამ მხრივ ჩვენ მრავალი სიძნელის გადალახვა მოგვიხდა. სამეცადინო ადგილები წარმოება-დაწესებულებათა ახლოს არის შერჩეული. ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, 26 კომისრის სახელობის ქარხანა და სატრიკოტაჟო კომბინატი თავიანთ ეზოებსა და კლუბებში ჩაატარებენ მეცადინეობას.

1 ოქტომბერს სამხედრო სწავლას დაიწყებენ ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელები. ისინი გულმოდგინეთ შეისწავლიან სამხედრო საქმეს, რათა დააჩქარონ პირსისხლიანი ჰიტლერელების განადგურება.

რ. ნუცუბიძე
საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგე.

სამამულო ომის ფრონტებზე

ლენინგრადის მისადგომებზე

ლენინგრადი, 27 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტები). მათ სახელს მთელი ქალაქი იმეორებს. ამ სახელებს შორის პირველ ადგილზეა პოლკოვნიკ ანდრია ლეონტის-ძე ბონდარევის სახელი. ბონდარეველები მტერს მოსვენებას არ აძლევენ არც დღისით, არც ღამით. ისინი გაბედულად სპობენ მტერს არა მარტო პირისპირი ხიშტის იერიშებით, არამედ მცირე ქვედანაყოფებად იჭრებიან გერმანელთა განლაგებაში და შეთანხმებულად ანადგურებენ მათ ზურგიდან და ფრონტიდან.

აი უკანასკნელი დღეების ფაქტები. ერთ-ერთ ზღუდეზე მტერი თავს უყრიდა ჯარის ნაწილებს შეტევაზე გადმოსასვლელად. გადაწყდა შეტევისათვის დაესწროთ. ოპერაცია საარტილერიო სროლით დაიწყო. ისროდა მეთაურ ამხ. რაკოვიჩის ბატარიები. ჩაახშეს თუ არა გერმანელთა საცეცხლე წერტები, იერიშზე გადავიდნენ ტანკები, ხოლო მათ მიჰყვნენ მეთაურ ამხ. კაშინსკის მსროლელთა ქვედანაყოფები. ფაშისტებმა იერიშს ვერ გაუძლეს და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ; ბრძოლის ველზე მათ 600-მდე მოკლული და დაჭრილი დასტოვეს.

ლენინგრადის სადარაჯოზე არიან არა მარტო სახმელეთო ჯარები, არამედ წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტიც.

მეზღვაურები მედგრად და გაფთრებით იბრძვიან მშობლიური ქალაქისათვის.

„წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მთელი ცხოვრება და მთელი ისტორია სასიცოცხლო და განუყრელი კავშირით არის დაკავშირებული ლენინგრადთან, — ნათქვამია ფლოტის სამხედრო საბჭოს მიმართვაში ლენინგრადელებისადმი, — ბალტიელები მტერს ებრძვიან ქალაქის ყველა მისადგომზე. სახმელეთო გზებზე საზღვაო ბრიგადები, ზღვაში ხომალდები და ჰაერში თვითმფრინავები მტერს ანადგურებენ და უდიდეს ზარალს აყენებენ. ჩვენ წმინდა, ურღვევ ფიცს ვდებთ: სანამ გული გვიცემს, სანამ თვალი გვიჭრის, სანამ ხელში იარაღი გვიჭირავს, ფაშისტი ავაზაკები ფეხს ვერ შემოსდგამენ ჩვენს ქალაქში".

ბალტიელები მტკიცედ იცავენ თავიანთ სიტყვას. ქალაქის მისადგომებზე დღედაღამ მანევრირობს მეზღვაურთა № ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც მტრის ჯარს თავს ატეხს საარტილერიო ცეცხლის გრიგალს. კომკავშირელ ამხ. მურატოვის საქვემეხო გუნდის ზუსტმა სროლამ მოსპო ფაშისტთა ათობით ბატარია, საცეცხლე წერტი, ასობით ჯარისკაცი. გულადად იბრძვიან ფაშისტების წინააღმდეგ სანაპიროზე გადმოსული მეზღვაურები. რაზმი უფროს ლეიტენანტ ამხ. ბოკოვის მეთაურობით მარტო თავისი გამოჩენითაც კი თავზარს სცემს მტერს. უშიშარი საზღვაო მფრინავები ამხ. ოვჩინიკოვი, ილინი, ბელოუსოვი, ლეონოვიჩი და მრავალი სხვანი ფაშისტთა თვითმფრინავებს ჰყრიან და არ უშვებენ მათ ზღვიდან ქალაქისაკენ.

ფაშისტთა ცალკეულმა მანქანებმა დაბალი მოღრუბლულობით ისარგებლეს და ქალაქისაკენ გამოიჭრნენ. საზენიტო ბატარიების კანონადას, რაც ლენინგრადელებისათვის უკვე ჩვეულია, სცვლიდა პაუზები, რის დროსაც ღრუბლებიდან ტყვიამფრქვევთა ხანმოკლე სროლა მოისმოდა. ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა გაფთრებული იერიში მიიტანეს მტრის მანქანებზე. გმირი ქალაქი მშვიდად არის. საჰაერო განგაშის დროს ცხოვრება არცერთი წუთით არა წყდება. მაღაზიები, რესტორანები და საპარიკმახეროები ღიაა. ქუჩებში სწრაფად დაჰქრიან მანქანები. ბევრი ავტომობილი დაფარულია მწვანე კამუფლაჟის ბადით. იმ ფაბრიკებსა და ქარხნების ჭიშკრებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მშვიდობიანი დროის პროდუქციას ამზადებდნენ, ფრონტისათვის განკუთვნილი საჭურვლითა და საომარი მასალით დატვირთული მანქანები გამოდიან. ისინი საამქროებიდან პირდაპირ მოწინავე პოზიციებზე მიემართებიან.

კაპლანსკი.
კავერინი.

საბჭოთა მეომრების მამაცობა

რადიოგადაცემა ოდესიდან

27 სექტემბერს რადიოგადაცემა მოეწყო ოდესიდან.

ოდესის თავდაცვითი რაიონის პოლიტგანყოფილების უფროსმა, პოლკის კომისარმა ამხ. ბოჩაროვმა, რომელიც პირველი გამოვიდა მიკროფონთან, სთქვა:

გერმანელ-რუმინელთა დარჩეული დივიზიები სამარეს პოულობენ ოდესის კედლებთან. კაციჭამია ჰიტლერის რუმინელ ლაქიებს, რომლებიც ქალაქის დამცველი წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგობის დაძლევას ლამობენ, ახალ-ახალი პოლკები და დივიზიები გამოჰყავთ ბრძოლაში. ისინი იღუპებიან და ნადგურდებიან წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა მედგრობისა და უშიშრობის გამო.

წითელი არმია სახელოვნად იცავს ქალაქის მისადგომებს. საზღვაო და საჰაერო ფლოტი მტრის იერიშებს იგერიებს და სპობს მას.

მარტო ამ უკანასკნელ დღეებში ჩვენმა სახელოვანმა ჯარის ნაწილებმა მტრის ორი ახალდაკომპლექტებული დივიზია გაანადგურეს.

ქალაქის ალყის დღეებში ფრონტი და ზურგი ერთ ორგანიზმად შედუღდა. სანგრებში წითელარმიელებთან მიდიან ფაბრიკებისა და ქარხნების დელეგატები. ათიათასობით მოქალაქე სიმაგრეებს აშენებს ქალაქის მისადგომებზე და მის ქუჩებში.

შემდეგ გამოვიდა ოდესის პურის ქარხნის სტახანოველი ქალი ამხ. კოკუნი. მისი ვაჟი გრიგოლი მშობლიურ ოდესას იცავს, მისი ქალიშვილი ალექსანდრა ნებაყოფლობით წავიდა მედიცინის დად ქალაქის საბრძოლო ზღუდეებზე.

—ოდესის ქალები, — ამბობს ამხ. კოკუნი, — ყოველ წუთს მზად არიან იარაღი აისხან და ებრძოლონ მტერს მშობლიური ქალაქის დასაცავად.

წითელარმიელმა ამხ. კრაინსკიმ აღნიშნა:

— ერთხელ მტერმა მოახერხა შემოჭრილიყო ჩვენი ქვედანაყოფის განლაგებაში და გამოევლო 500-600 მეტრი. მე და მებრძოლთა ჯგუფმა დავალება მივიღეთ გაგვერეკა ფაშისტები. როცა წინ წავიწიეთ, დავინახეთ, რომ მტრის კოლონა ხევისაკენ ეშვებოდა. ჩვენ ჩავსაფრდით. მტერი 200 მეტრზე მოვუშვით და ცეცხლი დავუშინეთ. ეს ფაშისტებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა და ისინი გაიქცნენ. ჯარისკაცები რომ შეეჩერებინათ, ოფიცრებმა ტყვია დაუშინეს გაქცეულებს. ჩვენ მტერს კილომეტრზე მეტი ვდიეთ და ვსპობდით ჩვენი ცეცხლით.

რადიოგადაცემა კაპიტან ამხ. დიგანჩუკის გამოსვლით დამთავრდა.

— ჩვენი შენაერთის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები გამანადგურებელ ლახვარს სცემენ გერმანელ - რუმინელ ურდოებს. ოდესის დაცვის ისტორიაში დარჩება პოლკოვნიკების — ამხ. სერებროვისა და ნოვიკოვის, ბატალიონის უფროსი კომისრის ამხ. ბოიკოს, უფროსი პოლიტხელის ამხ. ლასოვის და საბჭოთა შავიზღვისპირეთის მრავალ სხვა მამაც დამცველთა სახელი.

(საკდესი).

N შენაერთი მტერს ავიწროებს

დასავლეთის მიმართულება, 27 სექტემბერი (საკდესი). № შენაერთის ცალკეული ნაწილები მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას სძლევენ და კვლავ წინ მიიწევენ.

ერთ-ერთმა ნაწილმა დღის ბოლოს მტერი გარეკა გამაგრებული პოზიციებიდან, მოსპო გერმანელთა ქვეითი ჯარის ორი ასეული და სოფლები შ. და პ. დაიკავა. ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი მეკავშირეებმა. როცა ჩვენი ქვეითი ჯარი ახალ ზღუდეზე გავიდა, სერჟანტებმა—ამხ. ლოხოვმა და სოლპოვაროვმა, წითელარმიელებმა—ამხ. ბორდაჩევმა და პისკუნოვმა მტრის ტყვიამფრქვევისა და ნაღმტყორცნის ცეცხლში 40 წუთში გაიყვანა 5 კილომეტრი კაბელი. მეთაურთა პუნქტმა კავშირი დაამყარა მოწინავე ნაწილებთან. ამან ოპერაციის წარმატება უზრუნველჰყო.

მეორე ნაწილმა მოსპო 8 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 7 ნაღმტყორცნი, 15 ტყვიამფრქვევი და ასზე მეტი გერმანელი.

ჯარები, რომლებსაც ამხ. მასლენიკოვი მეთაურობს, 23 სექტემბერს კვლავ ავიწროებდნენ მტერს კ. პუნქტის რაიონში და დიდ ზარალს აყენებდნენ მას.

გმირული სიკვდილი

ჩრდილოეთ - დასავლეთის მიმართულება, 27 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორ.). ჩვენი თვითმფრინავების რგოლი თავის ბაზაში ბრუნდებოდა. მოულოდნელად ღრუბლებში გაილვა შავსვასტიკიანმა ყუმბარმშენმა. იგი ღრუბლებში იმალებოდა და მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტისაკენ მიიპარებოდა. რგოლი გაემართა, რათა გზა გადაეღობა ყუმბარმშენისათვის.

მტერს პირველი მიუახლოვდა უფროს პოლიტხელ ამხ. ვინოგრადოვის „არწივი" და ტყვიამფრქვევი დაუშინა სვავის ბოლოს. ეს უკანასკნელი გასროლა იყო, რადგან ვაზნები სრულიად გამოელია. მტრის ტყვიამ პოლიტხელის თვითმფრინავის ბენზინის ავზი გახვრიტა. დაიწყო ხანძარი. ფაშისტთა ყუმბარმშენი ობიექტს უკვე მიუახლოვდა და ყოველ წუთს შეეძლო ყუმბარის ტვირთი ჩამოეგდო. მაშინ ამხ. ვინოგრადოვმა თავისი ცეცხლმოდებული მანქანა ზემოდან დაეჯახა მტრის თვითმფრინავს.

ცეცხლმოდებული მანქანის დაჯახებით დალეწილი თვითმფრინავი ძირს დაექანა. ეს იყო მესამე თვითმფრინავი, რომელიც პოლიტხელმა გაანადგურა. ამ ბრძოლაში იგი თვითონ დაიღუპა გმირული სიკვდილით.

ლაპონოგოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუზველტის გამოსვლა

ვაშინგტონი, 28 სექტემბერი (საქდესი). გუშინ 14 სავაჭრო გემის სანაოსნოდ გამოშვებასთან დაკავშირებით, რუზველტმა სიტყვა წარმოსთქვა, რომლის ჩანაწერიც გრამოფონით გადასცეს. მან განაცხადა: „გემთსამშენებლო პროგრამა ამერიკის ერთერთი პასუხია აგრესორებისადმი. ყოველი ახალი გემის სანაოსნოდ გამოშვება ლახვარს სცემს იმ საფრთხეს, რომელიც ემუქრება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთელი მსოფლიოს თავისუფალ ხალხებს.

— გემთმშენებელმა მუშებმა,—განაცხადა რუზველტმა,—გაიგეს ის ნამდვილი სულისკვეთება, რომლითაც შთაგონებული უნდა იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატები, რათა ხელი შეუშალონ ჰიტლერსა და სხვა აგრესორებს ამერიკის შეერთებული შტატების მოსპობაში. ამერიკელები თავს ნებას ვერ მისცემენ ყური დაუგდონ თითო-ოროლა პირთ, რომლებიც ჰქადაგებენ შიშს და რომლებიც აცხადებენ, მხარს ვუჭერთ ზღვათა თავისუფლებას, მაგრამ ისე, რომ გემები ნავსადგურებში იმყოფებოდნენო. ასეთი პოზიცია არასწორი და არაპატიოსნური პოზიციაა. ჩვენ ვფიქრობთ,—სთქვა რუზველტმა,—რომ ეს გემები ზღვებში ინაოსნებენ ისე, როგორც მათ მოეთხოვებათ. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა დავიცვათ ისინი ტორპედოებისა, ყუმბარებისა და ჭურვებისაგან.

მოძრაობა ჰიტლერის უღლისაგან უნგრეთის განთავისუფლებისათვის

ლონდონი, 28 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისში წარმოიშვა მოძრაობა, რომლის მიზანია უნგრეთის განთავისუფლება ნაცისტთა ბატონობისაგან. ამ მოძრაობას სათავეში უდგას უნგრეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გრაფი კაროლიი. შექმნილია ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს კავშირი დაამყაროს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ ამერიკაში არსებულ ყველა უნგრულ ორგანიზაციასთან.

კაროლიიმ თავის თანამემამულეებს მოწოდებით მიმართა „გაერთიანდნენ ინგლისის გამარჯვების ლოზუნგის გარშემო". უნგრეთის გლეხი მოსახლეობა, — აღნიშნა კაროლიიმ, — ნაცისტურ უღელქვეშ შიმშილით წყდება. ინგლისში მცხოვრებ უნგრელთა მიტინგზე ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ითანამშრომლონ ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლ ყველა ქვეყანასთან.

ნეირატი გადააყენეს ჩეხიისა და მორავიის პროტექტორის პოსტიდან

ბერნი, 28 სექტემბერი (საქდესი). როგორც ცნობილია, გერმანიის ჯარების მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის პირველ დღეებიდანვე ჩეხი ხალხი იბრძვის ოკუპანტებს. ამ ბრძოლამ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. გახშირდა ანტიგერმანული საბოტაჟის აქტები. შკოდის ქარხანაში, ნავთსაწმენდ ქარხანაში და ბევრ სხვა ქარხანაში საბოტაჟის ამ აქტების შედეგად ხანძარი გაჩნდა. ჩეხიისა და მორავიის სამხედრო ქარხნების პროდუქცია განუწყვეტლივ კლებულობს. აგვისტოში ეს პროდუქცია ჩვეულებრივი ოდენობის მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენდა. ხშირად ხდება სარკინიგზო კატასტროფა, მდგომარეობა მეტად დაძაბული შეიქნა. ამასთან დაკავშირებით ჰიტლერმა გადასწყვიტა გადააყენოს ჩეხიისა და მორავიის პროტექტორი ფონ ნეირატი და მის ადგილზე დანიშნოს ჰიმლერის მოადგილე გესტაპოს ხაზით, საკმაოდ ცნობილი ჰაიდრიხი.

ნეირატის გადაყენებას ოფიციალურად მისი „ავადმყოფური მდგომარეობით" ხსნიან. მაგრამ ამგვარი ახსნა ადგილობრივ წრეებში მხოლოდ ირონიულ შენიშვნებს იწვევს. აქ ხაზგასმით აღნიშნავენ: ნეირატის გადაყენება იმას მოწმობს, რომ ჰიტლერი მას არ ენდობა და რომ ჰიტლერელთა ზედაფენაში სერიოზული უთანხმოება და ბრძოლაა.

როგორც ამტკიცებენ, „პროტექტორატ" ჩეხიასა და მორავიაში შემოღებულია სამხედრო წესები.

თავდასხმა ტუკაზე

ლონდონი, 28 სექტემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკთა ავტორიტეტულ წრეებში შეიტყვეს, რომ თავს დაესხნენ სლოვაკიის მარიონეტ პრემიერ-მინისტრ ტუკს. თავდამსხმელი, სლოვაკიის არმიის ოფიცერი, დააპატიმრეს.

საზღვარგარეთ

„ბერლინის ბომბარდირების ფონდი"

ინგლისური გაზეთი „ივნინგ სტანდარტი" გამოვიდა წინადადებით მოეწყოს სპეციალური ფონდი „ბერლინის ბომბარდირებისა". ყოველ ინგლისელს—მამაკაცსა და ქალს—შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ბერლინზე საჰაერო თავდასხმების მოწყობაში, რისთვისაც უნდა შეიძინოს ფონდის ბონები, რომლებიც ამათუიმ ყალიბის ყუმბარას შეესაბამება. ბონები გამოშვებული იქნება სხვადასხვა ღირსებისა: 1-დან 100 გირვანქა სტერლინგამდე. ფასზე იქნება დამოკიდებული ყუმბარის წონა და ოდენობა. ყუმბარის ყიდვა შეიძლება შეგროვებული ფულითაც.

თვითეულ ასეთ ყუმბარას გაუკეთდება იარლიყი, რომელზეც აღნიშნული იქნება მისი მფლობელის გვარი. მას შემდეგ, რაც ყუმბარა დანიშნულებისამებრ გაიგზავნება, ბონის მფლობელი მიიღებს ოფიციალურ ცნობას იმის შესახებ, რომ მისი „ამანათი" გაგზავნილია მისამართის მიხედვით.

გაზეთმა წამოაყენა წინადადება ბონები თვითეულ საფოსტო კანტორაში იყიდებოდეს. მათი გაყიდვით შემოსული მთელი ფული უნდა გადაეგზავნოს სამხედრო სამინისტროს.

ფაშისტი ჯაშუშები ჰოლივუდში

ამასწინათ ამერიკის ხელისუფლების ორგანოებმა აღმოაჩინეს გერმანელ ჯაშუშთა ბუდე კინომრეწველობის ცენტრში—ჰოლივუდში. როგორც ყველა ცნობის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, გერმანელთა ეს ჯაშუშური ცენტრი ყველაზე დიდი აღმოჩნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ცხადია, ფაშისტურ გერმანიას ყველაზე ნაკლებად აინტერესებდა ამერიკის კინოსტუდიების „საიდუმლოებანი". ძაღლის თავი სხვაგან ემარხა.

ჰოლივუდიდან სულ რამდენიმე კილომეტრის მანძილზეა საავიაციო ქარხნები: დუგლასი, ლოკჰიდი და მრავალი სხვა,—რომლებიც ერთად იძლევიან ყველა იმ სამხედრო თვითმფრინავების 60 პროცენტს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ამზადებენ.

ჰოლივუდის მახლობლად არის სანპედროს სამხედრო-საზღვაო ბაზა, სანდიეგოს ნაღმოსანთა ბაზა, უდიდესი სამხედრო აეროდრომი, ბოლოს, ნავთის დიდი სარეწაოები.

გერმანელთა ჯაშუშური ცენტრი ჰოლივუდში მუშაობდა გერმანიის სანფრანცისკოელი კონსულის, ჰიტლერის ყოფილი პირადი ადიუტანტის კაპიტან ფრიც ვიდემანის ხელმძღვანელობით.

როდესაც გერმანიის დიპლომატიური კურიერი ჰერბერტ ჰენე შეპყრობილ იქნა პანამის არხის გეგმებით, ვიდემანმა ამ ჯაშუშის გასათავისუფლებლად ბედ შეტანა თხუთმეტი ათასი დოლარი. თავის რეზიდენციად ჰერბერტ ჰენემ აირჩია ჰოლივუდის ერთერთი რაიონი.

აქ, ჰოლივუდის კოტეჯებსა და ვილებში, სადაც მთლიანად თავიანთი კინოსაქმეებით გართული ადამიანები ცხოვრობენ, ლაქიებისა და მოახლეების სახით სახლდებოდნენ გერმანელი ჯაშუშები.

ერთმა ჰოლივუდელმა მსახიობმა ქალმა დაიქირავა მზარეული ქალი. ეს უკანასკნელი საჭმელს საუცხოოდ ამზადებდა და მსახიობი მეტად კმაყოფილი იყო მისი. მსახიობი, რომელმაც ერთხელ შემთხვევით შეიხედა მოსამსახურის კარადაში, გაოცდა სალამოს საუცხოო ტუალეტების სიმრავლით. უფრო გვიან მან ყურადღება მიაქცია ფართო კორესპონდენციას, რაც მზარეული ქალის სახელზე სამხრეთ-ამერიკიდან, ავსტრალიიდან და შვეიცარიიდან მოდიოდა. გვიან ღამით მოსამსახურის ოთახიდან ხანდახან მოისმოდა საწერი მანქანის კაკუნი. მზარეული ქალი ხშირად მიდიოდა ავტომობილით, რომელიც მის წასაყვანად შემოივლიდა ხოლმე.

როდესაც მსახიობმა ქალმა გადასწყვიტა თავისი ეჭვი ეცნობებინა ფედერალური საგამომძიებლო ბიუროსათვის, „მზარეული ქალი" გაჰქრა.

ერთი კინორეჟისორის შოფერი ფაშისტური ლიტერატურის გავრცელებას ხელმძღვანელობდა. ყოველ ღამეს გარაჟში მიდიოდნენ მანქანები, რომლებსაც მიჰქონდათ ლიტერატურა.

მაგრამ გერმანელი ჯაშუშები ჰოლივუდში მარტო მსახურთა სახით როდი ცხოვრობდნენ. ხშირად ისინი სახლდებოდნენ საუცხოო ვილებში დეკორატორების, სავაჭრო წარმომადგენლების და სხვ. სახით.

სატელეფონო კომისია ქება-დიდებით იხსენიებდა ამ კლიენტებს: ტელეფონით ლაპარაკზე მათ მიერ გაწეული ხარჯი ყოველთვიურად ათას დოლარს აღემატებოდა. ისინი დღეში სამჯერ გამოიძახებდნენ ხოლმე შვეიცარიას, ამასთან ლაპარაკი მუდამ მეტად დაწვრილებითი იყო.

შერცხვენ

პარიზი. გაზეთ „პარი სუარის" რედაქცია. მდივანი რედაქტორის მაგიდაზე სდებს ხელნაწერს და ამბობს:

— ეს-ეს არის მივიღეთ ფოსტით. საუცხოო რამ არის! კარგი იქნებოდა დღევანდელ ნომერში დაგვებეჭდა.

რედაქტორი კითხულობს ხელნაწერს:

— თქვენ მართალი ხართ. მართლაც კარგი რამ არის. როგორც იქნა მივიღეთ ის, რის მიღებაც დიდიხანია მინდოდა. შესანიშნავი პოემაა, და რა ზეშთაგონებული სტილით არის დაწერილი!

არამზადებმა „პარი სუარიდან", რომლებიც გერმანელ ფაშისტებს მიეყიდნენ, თვალსაჩინო ადგილზე დაბეჭდეს პოემა, რომელიც ხოტბას ასხამდა კაციჭამია ჰიტლერს.

მეორე დღეს მთელი პარიზი დასცინოდა ამ უბედო გაზეთს. გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოუძახეს რედაქტორს ახსნა-განმარტებისათვის. აღმოჩნდა, როგორც ინგლისური ჟურნალი „ტრანსპორტ ენდ ჯენერელ უორკს რიკორდი" იუწყება, რომ საკმარისი იყო პოემის ორად გაკეცვა (სიგრძეზე)—და გამოდიოდა მკვეთრი ანტიფაშისტური ნაწარმოები.

ჰიმლერის ციხე-დარბაზი ჩეხოსლოვაკიაში

გაზეთი „ნოიე ფოლკსცაიტუნგი", რომელიც ნიუ-იორკში გამოდის, იუწყება, რომ ფაშისტმა ჯალათმა, გესტაპოს უფროსმა ჰენრიხ ჰიმლერმა შეიძინა ბუზაუს ციხე-დარბაზი მორავიაში. ციხე-დარბაზი, რომელიც თავისი ისტორიით არის განთქმული, წარმოადგენს დიდი ტყის შუაგულში მდებარე უზარმაზარ შენობას მთის წვერზე, საიდანაც ყოველმხრივ იშლება სანახაობა მორავიის მიწა-წყალზე.

პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე ბუზაუს ციხე-დარბაზი ეკუთვნოდა ტევტონთა ორდენს, რომლის გროსმეისტერი ავსტრიის ერცჰერცოგი ეჟენი იყო. როდესაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამდიდრებულმა გერმანიის მრეწველობისა და ბირჟის რაინდებმა მოდაში შემოიღეს ციხე-დარბაზის რომანტიკა და როდესაც მრავალი ასეული დანგრეული ციხე-დარბაზი გერმანიასა და ძველ ავსტრია-უნგრეთის მონარქიაში რესტავრირებულ იქნა ახალი ფულიანი თავადაზნაურობის წრიდან გამოსული მეტიჩრების საჭიროებათათვის, ტევტონთა ორდენმა ბუზაუს ციხე-დარბაზის ძველი ნანგრევების რესტავრაციაც მოახდინა.

ჯვაროსანთა თავისებური შთამომავალნი—პრუსიის ოფიცრები, ბანკირები და სპეკულანტები — ბუზაუს ციხე-დარბაზში შუა საუკუნეების ცერემონიებს აწყობდნენ. შავი რაინდული მანტიებით, წელზე ხმალშემოკრულნი, სირაქლემის ფრთებით შემკობილი ქუდებით ისინი მართავდნენ საზეიმო ბანკეტებს და ნადირობას.

გერმანიის საიდუმლო პოლიციის მეთაურმა ბუზაუს ციხე-დარბაზი გესტაპოს საჭიროებათათვის გამოიყენა. მან მის ჯურღმულებში და კოშკებში მრავალი ანტიფაშისტი ჩაჰყარა. ამავე მიზნებისათვის ფაშისტმა ჯალათებმა გამოიყენეს ბუზაუს მახლობლად ტყეში მდებარე საპყრობილე მიუგლია.

თვით ციხე-დარბაზში, მის რაინდულ დარბაზებში, ჰიმლერი და მისი დამქაშები ლოთობენ და ორგიებს მართავენ.

(„ოგონიოკი", № 29).

ფრანგი ხალხის ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ

ბერნი, 28 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს ბელგიისა და ჩრდილოეთ საფრანგეთის გერმანიის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კომუნიკეს, რომელიც გამოქვეყნებულია ბრიუსელში. კომუნიკეში ნათქვამია, რომ 22 სექტემბერს ღამით „კომუნისტებმა" ჩრდილოეთ საფრანგეთში არსებული საწყობიდან გაიტაცეს ფეთქებადი ნივთიერება. 22 სექტემბერს ღამით და 23 სექტემბერს დილით იმ ადგილების მახლობლად, საიდანაც გაიტაცეს დინამიტი, აფეთქებულ იქნა მატარებლები და გერმანელთა სამხედრო ტრანსპორტები.

* * *

ანკარა, 28 სექტემბერი (საქდესი). თურქული გაზეთი „ენი ასირი" იუწყება, რომ საფრანგეთის ოკუპირებულ ზონაში გაძლიერდა საბოტაჟი და თავდასხმა, რაც მიმართულია ფაშისტ ხელისუფალთა წინააღმდეგ. მას აქეთ, რაც გერმანიის საოკუპაციო ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოსავლეთის ფრონტზე გაიგზავნა, რასაკვირველია, ფრანგები უფრო გათამამდნენ. ის ფაქტი, რომ საფრანგეთში დაპატიმრებულია 45 ათასი ფრანგი, რომელთაც ბრალად სდებენ საბოტაჟს, იმას მოწმობს, რომ გერმანელთა წინააღმდეგ მოძრაობა არაჩვეულებრივად იზრდება. მთელ საფრანგეთში, სოფლებსა და დიდ ქალაქებში იდუმალი და მიუხელებელი მტრები სდევნიან გერმანელ ჯარისკაცებს იმის მიუხედავად, რომ გერმანელები თითო მოკლული გერმანელი ჯარისკაცის სამაგიეროდ 10 ფრანგ მძევალს ხვრეტავენ.

რადგან მთელ საფრანგეთში მასობრივად გავრცელდა ტერორი, ამ დღეებში არაოკუპირებულ ზონაში 7 ახალი საპყრობილე გაიხსნა. გერმანულ გაზეთ „ბერლინერ ბერზენცაიტუნგის" ცნობის მიხედვით, ვიშის მთავრობა პეტენის რეჟიმის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში გერმანელ საოკუპაციო ხელისუფალთა მეთოდებს მიჰმართავს. კერძოდ, ვიშის მთავრობის განკარგულებით, არაოკუპირებულ ზონაში დაპატიმრებულია მრავალი მძევალი, რომელნიც დახვრეტილ იქნებიან, თუ რაიმე გამოსვლა მოეწყობა პეტენის წინააღმდეგ.

მეცნიერთა კონფერენცია ლონდონში

ლონდონი, 28 სექტემბერი (საქდესი). მეცნიერთა კონფერენციაზე, რომელიც მოიწვია მეცნიერების განვითარების ინგლისის ასოციაციამ, კონფერენციის თავმჯდომარე გრეგორიმ განაცხადა, რომ აქ თავმოყრილ მეცნიერების წარმომადგენელთა საერთო მიზანია აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალი ცივილიზაციის საფუძველთა შექმნაში, ცივილიზაციისა, რომლის ფარგლებშიც მათი მეცნიერული აღმოჩენები მთლიანად იქნება გამოყენებული ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

პროფესორმა ბერნალმა (ბერკბეკ-კოლეჯი, ინგლისი) თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საერთო მისწრაფებაა მეცნიერებამ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს ნამდვილ ცხოვრებაში. საბჭოთა რუსეთში,—აღნიშნა ბერნალმა,—ეს უკვე მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა.

კონფერენციის მესამე სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა პრობლემას „მეცნიერება და მსოფლიო დაგეგმვა", ამხ. მაისკიმ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ უეჭველად დადგება დღე, როცა ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური დაგეგმვის ყოვლისმომცველი სისტემა მთელს დედამიწაზე გავრცელდება. მაშინ მეცნიერების სხვადასხვა დარგი უდიდეს როლს შეასრულებს ახალი სამყაროს შექმნაში, და საბჭოთა კავშირის გამოცდილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ პრობლემების გადაჭრას, რომელთა წინაშეც ხალხები აღმოჩნდებიან.

ამხ. მაისკიმ აღნიშნა ის უდიდესი საფრთხე, რომელსაც წარმოადგენს ჰიტლერიზმი მეცნიერების განვითარებისათვის. ჰიტლერის გერმანიამ რომ ახლანდელი ომი მოიგოს,—სთქვა ამხ. მაისკიმ,—მაშინ არ იქნებოდა არავითარი თავისუფლება, არავითარი დემოკრატია, არავითარი კულტურა, არავითარი მეცნიერება, არავითარი დაგეგმვა. ყოველივე ამის ნაცვლად იარსებებდა ერთი დიდი საპყრობილე, რომელშიც ყველა ხალხი მონების ცხოვრებით იცხოვრებდა. ასეთ პირობებში ყოველი თავისუფლებისმოყვარე ადამიანის გადაუდებელი ამოცანა უნდა იყოს ამ საშინელი საფრთხის მოსპობა, ჰიტლერის გერმანიის მოსპობა. ახლა ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა არ არსებობს. მეცნიერებამაც და ადამიანებმაც თავიანთი როლი უნდა შეასრულონ ამ უდიდეს საქმეში.

თურქი ჟურნალისტი ყალბი ფაშისტური პროპაგანდის შესახებ

სტამბოლი, 28 სექტემბერი (საქდესი). გაზეთ „ხაბერის" გუშინდელ ნომერში მოთავსებულია ცნობილი თურქი ჟურნალისტის, მეჯლისის დეპუტატ ჯაჰიდ იალჩინის სტატია, რომელშიც იგი ამხელს ფაშისტური პროპაგანდის ყალთაბანდობას.

ავტორის სიტყვით, ღერძის ქვეყნების პროპაგანდა თავის ცრუ ცნობებს ხშირად მიაწერს ღერძისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების გაზეთებს, რათა ამ გზით მეტი შანსები იყოს მათი გავრცელებისათვის. ავტორს მაგალითისათვის მოჰყავს ნაცისტების მიერ გამოგონილი ცნობა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსისა", რომელმაც, ვითომ, განაცხადა, რომ ინგლისს არ ძალუძს დახმარება გაუწიოს ვინმეს. რამდენიმე დღის შემდეგ,—აღნიშნავს ავტორი,—ეს ცნობა რუმინულმა რადიომ გაიმეორა. ფაშისტური პრესა უცხოეთის გაზეთებიდან ცალკეულ ამონაწერებს ამოჰგლეჯს და არა სწორად გადასცემს ამ გაზეთების თვალსაზრისს. მაგალითად, თუ გერმანულ გაზეთებს დავუჯერებთ, რომლებსაც ციტატები მოჰყავთ თურქულ პრესიდან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გაზეთები „ჯუმხურიეტი", „ტასვირი ეფქიარი" და „სონ პოსტა" სხვა არაფერს არ აკეთებენ, გარდა იმისა, რომ ღერძის ქვეყნების პრობლემას იკვლევენ.

ავტორს მოჰყავს ამის მაგალითი, რომ იტალიის რადიო თურქულ გაზეთად ასაღებს „ბეიოღლუს", რომელსაც იტალიის საელჩო სცემს სტამბოლში.

იტალიის რადიოს, სწერს იალჩინი, თურქეთის საზოგადოებრიობის სახელით ლაპარაკი უყვარს და ამასთან მუდამ იმოწმებს იტალიურ გაზეთ „ბეიოღლუს" ნაწერებს, მაშინ როდესაც ამ გაზეთს ოდნავაც არ შეუძლია გამოხატოს თურქეთის საზოგადოებრივი აზრი.

პოლონეთის პრეზიდენტ რაჩკევიჩის გამოსვლა

ლონდონი, 28 სექტემბერი (საქდესი). პოლონეთის პრეზიდენტმა რაჩკევიჩმა გამოაქვეყნა მიმართვა პოლონელი ხალხისადმი, რაც რადიოთი გადასცა ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კომპანიამ. რაჩკევიჩმა მოუწოდა პოლონეთის მოქალაქეებს, რომელნიც მოწყვეტილი არიან თავიანთ სამშობლოს და ამჟამად საბჭოთა კავშირში იმყოფებიან, განამტკიცონ მებრძოლ პოლონელთა რიგები.

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 27 სექტემბერი (საქდესი). ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 26 სექტემბერს, საღამოს, ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა დიუნკერკის მახლობლად იერიში მიიტანეს მტრის ორ ნაღმოსან ტრალერსა და საჰაერო თავდაცვის 2 ხომალდზე. საჰაერო თავდაცვის ორივე ხომალდი დაზიანებულია, ორ ტრალერზე ხანძარი გაჩნდა. ინგლისის ავიაგამანადგურებელთა მეორე შენაერთმა საზვერავი ფრენის დროს შერბურის მახლობლად ჩასძირა მტრის პატარა საპატრულო გემი. ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ 26 სექტემბერს, დღისით, მტრის ავიაცია ინგლისში არ გამოჩენილა.

ლონდონი, 27 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 26 სექტემბერს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავების მცირე შენაერთებმა იერიში მიიტანეს რაინის ოლქის ობიექტებსა და ლა-მანშის ნავსადგურებზე.

ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 26 სექტემბერს, ღამით, მტრის ავიაციამ სუსტი აქტივობა გამოიჩინა ინგლისის ტერიტორიაზე. რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს აღმოსავლეთ ინგლისის ერთერთ პუნქტში. დაზიანებულია რამდენიმე სახლი არის დაჭრილთა მცირე რაოდენობა.

ინგლისელთა მიერ რაინის ოლქის ბომბარდირების შედეგი

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი (საქდესი). ჰოლანდიის ანეტის სააგენტო იუწყება, რომ ამ უკანასკნელ ხანს რაინის ოლქიდან ამსტერდამს გახიზნულ იქნა 40 ათასი კაცი. ეს მოწმობს ინგლისელთა მიერ ბომბარდირების ეფექტიანობას. ხელისუფალნი გახიზნულთა ახალი პარტიის ჩამოსვლისათვის ემზადებიან. სააგენტოს სიტყვით, დიუსელდორფი ძლიერ დანგრეული, როგორც გერმანელებმა გასული წლის მაისში როტერდამი დაანგრიეს. რაინის ოლქსა და ჰოლანდიას შორის საფოსტო კავშირი სავსებით შეწყვეტილია.

უნგრეთის არმიის დიდი ზარალი

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ბუდაპეშტიდან ჩასული პირნი აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში მონაწილე უნგრელთა ჯარმა თავისი შემადგენლობის 40-მდე პროცენტი დაჰკარგა. ამ პირთა სიტყვით, ჰორტი უკანასკნელად ჰიტლერთან იმ მიზნით გაემგზავრა, რომ მისთვის ეცნობებინა უნგრეთში ანტიგერმანული განწყობილების დიდი ზრდა, რაც გამოწვეულია გერმანელების მიერ უნგრეთის ექსპლოატაციით, და რომ მოსალოდნელია სერიოზული არეულობა.

დემორალიზაცია რუმინეთის არმიის ნაწილებში

ლონდონი, 27 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მძიმე ზარალის შემდეგ, რაც ოდესასთან განიცადეს რუმინეთის ჯარებმა, ამ ჯარებში შემჩნეულია დემორალიზაცია. გერმანიის სარდლობა დაჟინებით მოითხოვს შეცვლილ იქნან ისინი რუმინელთა სხვა ჯარის ნაწილებით. ყველა ჰოსპიტალი, უამრავი სკოლა და კერძო სახლებიც კი გაჭედილია დაჭრილებით. ბუქარესტში რეკვიზირებულია მრავალი სახლი, რომლებსაც სასწრაფოდ აწყობენ საჰოსპიტლოდ.

თავდასხმა სერბიელი ხალხის მოღალატე ნედიჩზე

სტოკჰოლმი, 27 სექტემბერი (საქდესი). ბულის სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კარგად ინფორმირებული წრეებიდან მიღებული ცნობით, თავდასხმა მოუხდენიათ სერბიის „პრემიერ-მინისტრ" გენერალ ნედიჩზე. სერბიელმა პატრიოტებმა ყუმბარა შეაგდეს შენობაში, სადაც ნედიჩი იმყოფებოდა. ამის შემდეგ ნედიჩის „მთავრობამ" დეკრეტი გამოსცა, რომელიც სიკვდილით სასჯელს აწესებს იმ პირთათვის, ვინც იარაღის გამოყენებით იმუქრება და ზარალს აყენებს ქარხნებსა და საზოგადოებრივ შენობებს, აგრეთვე ვინც გარეულია საბოტაჟის აქტებსა და ანტიფაშისტური ინფორმაციის გავრცელებაში.

იტალიელი დამპყრობნი შეშფოთებული არიან იუგოსლავიაში პარტიზანული მოძრაობის ზრდის გამო

ლონდონი, 27 სექტემბერი (საქდესი). იტალიური გაზეთები იძულებული არიან აშკარად აღიარონ ანტიფაშისტური და პარტიზანული მოძრაობის ზრდა იუგოსლავიაში. რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ამ საკითხზე იტალიური გაზეთების ამონაწერს. მაგალითად „პოპოლო დ' იტალია" სწერს „ხორვატების მოძალადური მეთოდების შესახებ". გაზეთი „სტამპა" აცხადებს: „ზაგრებსა და სარაევოს შორის ერთნახევარი მილიონი სერბიელი ცხოვრობს. ეს ერთობ ბევრია, რომ მათი სწრაფად გაუვნებლება შეიძლებოდეს. იტალიის ჯარებს უკავიათ თითქმის მთელი ჩვენი ქვეყანა. არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება. სერბიელები ბოსნიის მთებსა და ტყეებში იბრძვიან. ისინი უსტაშებს ხოცავენ, ხიდებსა და რკინიგზებს აფეთქებენ".

დამარცხების განწყობილება იტალიაში

ნიუ-იორკი. (საქდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსი" სწერს, რომ ამასწინათ რომიდან ჩამოსულ წარჩინებულ ამერიკელთა სიტყვით, იტალიელები, მათ შორის ცნობილი ოფიციალური პირები, როგორც წესი, არ მოელიან ღერძის სახელმწიფოთა გამარჯვებას და არც სურთ ეს გამარჯვება. აღნიშნული პირები აცხადებენ, რომ მუსოლინი ავად არის, გულგატეხილია და ნახევრად კარჩაკეტილი ცხოვრობს, თანაც გესტაპოს ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება; რომ გრაციანი კვდება ყელის კიბოსაგან, ხოლო ბადოლიო დაპატიმრებულია რომში.

მიუხედავად ხელისუფლების მიერ აკრძალვისა, მოსახლეობა ყველგან ისმენს ინგლისის რადიოს და აცხადებს, გესტაპო მთელ მოსახლეობას საპყრობილეში ვერ დაამწყვდევსო. იტალიის მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ ჰიტლერი დამარცხდება, განსაკუთრებით თუ ამერიკის შეერთებული შტატები ომში ჩაება.

გერმანელები სლავებს ბარბაროსულად ეპყრობიან

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი (საქდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი" იუწყება: „დემოკრატიისათვის ბრძოლის სლავური კომიტეტი" აცხადებს, რომ გერმანელებმა ხელთ იგდეს მრავალი ათასი ჩეხი, პოლონელი და იუგოსლაველი ქალი და ქალიშვილი 15-დან 25 წლამდე ასაკისა და აიძულებენ მათ ირისკიპონ. გერმანიის არმიასთან შექმნილია სპეციალური განყოფილება — ოკუპირებულ სლავურ ტერიტორიებზე „გერმანელ ჯარისკაცთა სქესობრივი მომსახურების განყოფილება".

გენერალ დე გოლის ბრძანებულება თავისუფალი საფრანგეთის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ

ლონდონი, 28 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გენერალმა დე გოლმა გამოაქვეყნა ბრძანებულება თავისუფალი საფრანგეთის სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ორგანიზაციის გამო. ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ ლონდონში შექმნილია ნაციონალური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე არის თავისუფალი ფრანგების მეთაური, გენერალი დე გოლი. ნაციონალური კომიტეტი განახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციებს, სანამ არ შეიქმნება ფრანგი ხალხის ისეთი წარმომადგენლობა, რომელიც შესძლებს ხალხის ნება-სურვილის გამოხატვას მტრისაგან დამოუკიდებლად. ნაციონალური კომიტეტი შესდგება კომისრებისაგან, რომლებიც ასრულებენ ყველა იმ ინდივიდუალურ და კოლეგიურ ფუნქციებს, რაც ჩვეულებრივ საფრანგეთის მინისტრებს ეკისრებათ. ნაციონალური კომისრები პასუხისმგებელი არიან ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარის წინაშე. ნაციონალური კომიტეტი მიიღებს საკანონმდებლო ხასიათის გადაწყვეტილებებს და გამოსცემს აღმასრულებელი ხასიათის განკარგულებებს, რომლებსაც ხელს უნდა აწერდნენ ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე და რომლებიც დამოწმებული უნდა იყოს ერთი ან რამდენიმე ნაციონალური კომისრის ხელმოწერით. ნაციონალური კომიტეტი მოახდენს აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებათა და საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიკაციას.

უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები აკრედიტებულ იქნებიან თავისუფალ ფრანგთა მეთაურთან და ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარესთან. თავისუფალი საფრანგეთის წარმომადგენლებს დეკრეტით საზღვარგარეთ ნიშნავს და წარგზავნის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე.

ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე არის საფრანგეთის იმპერიის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეც. საბჭო იძლევა დასკვნებს იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება იმპერიის ტერიტორიის თავდაცვას და აღნიშნული ტერიტორიების მონაწილეობას საომარ მოქმედებაში.

კომუნისტების სიკვდილით დასჯა საფრანგეთში

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ 21 სექტემბერს საფრანგეთში „განსაკუთრებულმა ტრიბუნალმა" გაარჩია პარლამენტის დეპუტატ ჟან კატლას საქმე. ჟან კატლა, რომელსაც დაუსწრებლად ჰქონდა მისჯილი 6 წლის პატიმრობა ჯერ კიდევ საფრანგეთში გერმანელთა მისვლამდე, ვიშის მოთხოვნით გერმანელებმა დააპატიმრეს და ტრიბუნალს გადასცეს. ტრიბუნალმა ჟან კატლას სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა.

იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჟან კატლა და წინათ ტრიბუნალის მიერ მსჯავრდადებული სენის დეპარტამენტის კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი—ადოლფ გიუიო და კომუნისტი ჟაკ ოგი ფოლკაკარდი გილიოტინირებულ იქნენ 26 სექტემბერს პარიზის სანტის საპატიმროში.

* * *

ჟან კატლა დაიბადა 1894 წლის 6 მაისს პიუზიეში, პა-დე-კალეს დეპარტამენტში. 12 წლისა იყო, რომ, დაწყებითი სკოლა დაამთავრა თუ არა, სასწავლებლად შევიდა ტრიკოტაჟის წარმოებაში. 1914-18 წლის ომის დროს საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნა ორდენით და არაერთხელ არის მოხსენებული პოლკისადმი ბრძანებაში.

1919 წლიდან კატლა საფრანგეთის პროფკავშირული მოძრაობის აქტიური მოღვაწეა. 1936 წელს ჟან კატლა პარლამენტის დეპუტატად აირჩიეს ქალაქ ამიენში. ჟან კატლა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო.

გერმანელი დაჭრილი ჯარისკაცები პოლონეთში

ლონდონი, 28 სექტემბერი (საქდესი). ლონდონის პოლონური წრეების მიერ მიღებული ცნობებით, პოლონეთის ქალაქებში კვლავ განუწყვეტლივ მოჰყავთ დიდძალი გერმანელი დაჭრილი ჯარისკაცი რუსეთის ფრონტიდან. პოლონეთში ყველა ჰოსპიტალი მთლად სავსეა. გერმანელები საჩქაროდ აგებენ ახალ, დროებითს ჰოსპიტლებს. ვარშავის ქუჩებში ნახავთ გერმანიის წითელი ჯვრის მრავალ ავტომანქანასა და საზიდარს.

ფრონტზე დიდ დანაკლისთან დაკავშირებით, გერმანელები სწვავენ დაღუპულ ჯარისკაცთა გვამებს.

გადადგა ბოლივიის მთავრობა

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ გადადგა ბოლივიის მთავრობა. მინისტრები ახალი კაბინეტის შედგენამდე თავიანთ პოსტზე რჩებიან. გადადგომის მიზეზები არ გამოუქვეყნებიათ.

დავუმზადოთ თბილი ტანსაცმელი წითელ არმიას

ყველაფერი ფრონტისათვის

ქალაქ ქუთაისში წარმატებით აგროვებენ თბილ ტანსაცმელს წითელი მებრძოლებისათვის.

მილიციის მე-2 რაიონული განყოფილების მუშაკებმა წითელი მებრძოლებისათვის გასაგზავნად ჩააბარეს 10 ცალი დაბამბული სათბური, 20 ჯემპერი, 1 სვიტერი და თეთრეული.

საქენერგოს მე-2 რაიონის მუშაკებმა—6 ცალი სათბური, 6 სვიტერი, დაბამბული სათბური და წინდა.

საგრენაჟო ქარხნის კოლექტივმა ჩააბარა 50 ცალი დაბამბული სათბური, 4 ცალი მაუდის შარვალი, 2 წყვილი წინდა, ერთი წყვილი ხელთათმანი და სხვ.

ლ. პ. ბერიას სახელობის მე-13 საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოწაფეებმა შეიტანეს 18 დაბამბული ქურთუკი, 22 ცალი მაუდის პალტო, 2 წყვილი წინდა და სხვ.

ფ. სადიკოვი

გურჯაანის რაიონში

გურჯაანი („კომუნისტის" კორ.). გურჯაანის რაიონის მშრომელები წითელ მებრძოლებს უმზადებენ თბილ ტანსაცმელს. ქალაქის პოლიკლინიკის ექიმმა გ. სოლომნიშვილმა შეიტანა 10 წყვილი წინდა, 5 წყვილი ხელთათმანი, ექიმმა მარო კირეულიშვილმა — ერთი ბალიში, 2 პირსახოცი და 2 ცხვირსახოცი.

სოფ. ყანდაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ქალებმა წითელ მებრძოლებს დაუმზადეს 150 წყვილი წინდა და 150 წყვილი ხელთათმანი. სოფ. ბოგდანოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ქალებმა — 24 ცალი ბალიში, აგრეთვე წინდები და ხელთათმანები. ველისციხის სოფლის კოოპერატივის თანამშრომლებმა დარო ყიყინაშვილმა. ნინო ზაქარიაშვილმა, ანეტა ბაირამოვამ დაამზადეს ბალიშები, დამატებით ამზადებენ წინდებსა და ხელთათმანებს. კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" კოლმეურნე ქალებმა დაამზადეს 12 ბალიში.

თავდაცვის სახალხო ფონდი

სამშობლოს თავდაცვის ფონდში

ლენინგრადი, 27 სექტემბერი (საქდესი). ლენინგრადელებს დღითიდღე სულ უფროდაუფრო მეტი წვლილი შეაქვთ თავდაცვის საყოველთაო-სახალხო ფონდში. 25 სექტემბრისათვის მათ შეიტანეს 24.550.000 მანეთი ნაღდ ფულად და ხელფასის გადარიცხვის სახით, 145 გრამი პლატინა, 10.380 გრამი ოქრო, 503 კილოგრამი ვერცხლი, ათეულათასობით მანეთის ძვირფასი ქვები, უცხოური ვალუტა და სხვა ფასეულობა.

შეაქვთ თავდაცვის ფონდში

★ **გ. მ. ქუახელმა** (№ ნაწილიდან)—500 მანეთის ობლიგაციები.

★ **ე. მ. ოქროევამ** (პენსიონერი)—ოქროს ქინძისთავი ალმასის თვლით—1,4 გრამი და 50 მანეთის ობლიგაცია;

★ **ი. ი. ანანოვმა** (მეცნიერ მუშაკი)—ოქროს ბეჭედი ფირუზის თვლით და 12 ალმასით—2,15 გრამი;

★ **ლ. მ. ლაშევიჩმა** — ოქროს ბეჭედი 6,1 გრამი და ვერცხლის პორტსიგარი 99 გრამი;

★ **ს. ი. ადრიაშჩენკომ** (სამხედრო ინჟინერი)—ვერცხლის პორტსიგარი 233 გრამი;

★ **ძმებმა დიმიტრი და ოქტომბერ მეძველიებმა**—460 გრამი ვერცხლი;

★ **მ. პ. მაისურაძემ**—197 გრამი ვერცხლი და 355 მანეთის ობლიგაციები;

★ **პიონერთა სასახლის ნორჩმა არმიელებმა**—201,5 გრამი ვერცხლი;

★ **მ. ი. პეტროსიანმა**—ოქროს ძეწკვი, ორი ოქროს ჯვარი და ოქროს ჯართი სულ 13,45 გრამი;

★ **ვერა და ნადეჟდა დომაშევსკებმა** (პედაგოგები)—554 გრამი ვერცხლი;

★ **ასია გრიგორიანმა** (მოწაფე)—47 გრამი ვერცხლი და 100 მანეთის ობლიგაციები.

სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ტირაჟი

27 სექტემბერს მოსკოვში შესდგა სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის მოგებათა მორიგი, მე-15 ტირაჟი. გათამაშდა 52.051.300 მანეთის 320.650 მოგება. (საქდესი).

შრომის ნაყოფიერების იშვიათი ნიმუშები

ჰიტლერელ ყაჩაღებთან სამამულო ომის დღეებში ტრესტ „საქნავთის" შირაქის რაიონის სამმართველოს მუშები, მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები სტახანოვური შრომის ნაყოფიერების იშვიათ ნიმუშებს იძლევიან.

მირზაანის სარეწებზე ნავთის ამომღებ სტახანოველ ოსტატ ამხ. დ. დოლონაძის ბრიგადა დღიურ ნორმას 130-135 პროცენტით ასრულებს. ნავთის ამოღების გეგმას გადაჭარბებით ასრულებს აგრეთვე ოსტატ ა. დავიდიანის ბრიგადა.

№ 140 ჭაბურღილი, რომელიც ოსტატ ამხ. პ. რომანოვის ბრიგადამ ვადაზე 10 დღით ადრე გაბურღა, უკვე სამრეწველო ნავთს იძლევა.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" დაჯილდოებულმა ბურღვის ოსტატმა ამხ. დ. კაკალაძემ 6 დღით ადრე გადასცა საექსპლოატაციოდ № 193 ჭაბურღილი. ამ ჭაბურღილმა ბურღვის დამთავრებისთანავე დაიწყო სამრეწველო ნავთის მოცემა.

„საქნავთის" პირველი ათასიანის, ბურღვის ცნობილ ოსტატ ამხ. პ. ფიფიას ბრიგადამ № 80 ღრულის ბურღვა 9 დღით ადრე დაამთავრა. ღრულის გავლის საპროგრამო სისწრაფე ბრიგადამ 150 პროცენტით შეასრულა.

ღრულის გავლის 175-პროცენტიან სისწრაფეს იძლევა ბურღვის ორდენოსანი ოსტატის ამხ. ზ. ბაკაშვილის ბრიგადა, რომელიც წარმატებით ამთავრებს № 109 ღრულის ბურღვას.

ტრესტ „საქნავთის" სარეწებზე ფართოდ გაიშალა ორასიანთა მოძრაობა. შირაქის სამმართველოს მექანიკურ სახელოსნოს შემდუღებელი საამქრო (უფროსი ამხ. ი. სვეტლიჩნი), რომელიც მთლიანად სტახანოვურია, დღიურ ნორმას 210-215 პროცენტით ასრულებს.

სტახანოველი მიწის მთხრელი ამხ. ი. იაცენკო საწარმოო დავალებას ყოველთვის 240 პროცენტით აძლევს. 250-270 პროცენტით ასრულებენ გეგმას აგრეთვე მბურღავები—რ. ცქიტიშვილი, ნ. ჩისტოვი, ა. კომარისტი, გ. ლისენკო და სხვ. (საქდესი).

ფეხბურთი

„დინამოს" გუნდების ამხანაგური მატჩი

28 სექტემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა საქალაქთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და ბათუმის „დინამოს" გუნდები.

თამაში თავიდანვე სწრაფი ტემპით დაიწყო. ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა. ამ დღეს ფეხბურთის თბილისელ ოსტატებს ბათუმელმა დინამოელებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. თბილისელთა თავდასხმამ მხოლოდ მეორე ტაიმში მიაღწია უპირატესობას: სტუმრების კართან შექმნილი ერთ-ერთი კრიტიკული მომენტით ისარგებლა გ. ჯეჯელავამ და ბურთი გაიტანა, რის შემდეგაც ანგარიში არ შეცვლილა.

შეხვედრა თბილისის „დინამოს" გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 1:0.

მატჩის დაწყების წინ გაიმართა სახანძრო სამსახურის მებრძოლთა გასამხედროებული ამანათრბენი. (საქდესი).

საჯარო ბიბლიოთეკაში

30 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის სამხედრო კაბინეტში შესდგება ჯგუფური კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: „ინიციატივა და სამხედრო ხერხიანობა ბრძოლაში".

თეატრებში

სახოპერა — 30 სექტემბერს—„სევილიელი დალაქი", 1 ოქტომბერს—„აიდა", **რუსთაველის სახელობის** — 30 სექტემბერს — „რღვევა", 1 ოქტომბერს — „კიკვიძე", **მარჯანიშვილის სახელობის**—30 სექტემბერს „ცხვრის წყარო", 1 ოქტომბერს—„მკაცრი ქალიშვილები", 2 ოქტომბერს — „ბერლინის გასაღები", **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—30 სექტემბერს—„პატარა კახი" (მე-29 აბ.), 1 ოქტომბერს—„თოვლის დედოფალი" (მე-38 აბ.), 2 ოქტომბერს—„თოვლის დედოფალი" (მე-3 აბ.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „მელორე" (ფერადი ფილმი), ოქტომბერი — „მუსიკალური ისტორია", დამკვრელი (საზაფხულო)—„დაგვიანებული სასიძო", დამკვრელი (ზამთრის)—„ჭაბუკი ტაიგიდან", კომკავშირელი (ზამთრის)—„მეგობრები ხელმეორედ ხვდებიან", კომკავშირელი (საზაფხულო)—„დარიკო", სპარტაკი—„დიდი ვალსი", ლუქსემბურგის სახ. — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს", 26 კომ. სახ.—„ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს", კომინტერნი—„მტრის ზურგში", განთიადი—„ტორჟოკელი თერძი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

განცხადება

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით მოსახლეობის ანაბრები, რომლებიც შემნახველ სალაროებში შეტანილია 1941 წლის 23 ივნისის შემდეგ, გაიცემა მეანაბრეთა პირველი მოთხოვნისთანავე, მიუხედავად თანხის ოდენობისა.

1941 წლის 23 ივნისამდე შეტანილი ანაბრები გაიცემა იმ წესით, რომელიც დროებით შემოღებულ იქნა 1941 წლის 23 ივნისიდან.

შეიტანეთ თქვენი ფულადი სახსრები შემნახველ სალაროებში!

შემნახველ სალაროში შენახული თვითეული მანეთი განამტკიცებს საბჭოთა კავშირის თავდაცვითს ძლიერებას.

საქ. სსრ სახშრომშემსალაროებისა და
სახკრედიტის სამმართველო.

მე-27 საშუალო სკოლის დირექცია
იუწყება
ოთარ კონსტანტინეს-ძე ქუთათელაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 30/IX 6 ს. კერესელიძის, 4, ვერის ძველ სასაფლაოზე. 12448

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ადგილკომი იუწყება ამხ. აკაკი იმნაძის შვილის
ზურაბის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/IX საღ. 7—30. მარის ქ. № 28, დაკრძალვა 1/IX, საღ. 6 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა — 3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო, — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროსი — 3—57—61; წერილების — 3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების — 3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 41111